№ 29
(11 281)
20 – 22 აპრილი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან
თავისუფალი ჭიდაობა | ევროპის ჩემპიონატი

ვაი, ჩვენო ბორკილდადებულო ქართველო ფეხბურთო!

ხილული თუ უხილავი ძალები ქართულ ფეხბურთს ისე ებრძვიან, როგორც ეროვნული პროდუქციის წარმოებას, ის კი ავიწყდებათ, რომ იგი არც ქართული ლუდია და არც სიგარეტი, იმპორტით რომ შეცვალო...

მაშ ასე: როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შეხვდებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას.

● *ბატონო ვალერი, ნახევარი წელიწადი მიიწურა, რაც სფფ-ს ახალი შემადგენლობა უდგას სათავეში. პრეზიდენტი მერაბ ჯორდანია, რომელიც ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას და განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებას ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისათვის, ყოველთვიური პრესკონფერენციის მეშვეობით საზოგადოებრიობას აცნობიერებს მიმდინარე მოვლენებში. რა დასამალია და, მდგომარეობა სფფ-ში და, საერთოდ, ჩვენს ფეხბურთში, უადრესად კრიტიკულია, როგორ შეაფასებდით მას გენსეკის პოზიციიდან?*

— თავიდანვე გეტყვით, რომ სფფ-ში ჩვენი მოსვლისა და ჩემს მიერ თანამდებობის დაკავებისთანავე, შევისწავლეთ და შემდეგ გავაანალიზეთ წინამორბედთა საქმიანობა 1992-1998 წლებში. გვაინტერესებდა ობიექტური სურათი და ვიყავით აბსოლუტურად ნეიტრალურები. აშკარად გამოჩნდა, რომ სფფ-ში სხვადასხვა დროს უხეშად არღვევდნენ კანონს, მაკონტროლებლები კი გაუმართლებელ ლმობიერებას იჩენდნენ თავჩენილი დარღვევებისადმი, რითაც ხელს უწყობდნენ, სტიმულს აძლევდნენ ახალ თვითნებობას.

● *რაკი ამ თემაზე გულახდილი საუბარი წამოიწყეთ, იქნებ დააკონკრეტოთ კიდეც თუ რა დარღვევებს „წაუყრუეს“ შემმოწმებლებმა...*

— თქვენ უკვე დამასწარით და „ლელოს“ წინა ნომერში აუწყეთ მკითხველს, რომ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევდი. შევეცდები ასეც იყოს, ჭირის დამალვას, როგორც იტყვიან, ჯერ არანაირ საქმეში არ მოუტანია სიკეთე. ზემოხსენებულ პერიოდში სფფ-ს შემოჰქონდა სოლიდური რაოდენობის სპორტული ფორმა და ინვენტარი, მოწყობილობები, ორგტექნიკა, ნაწილს იძენდა, ნაწილი კი გარანტიის სახით შემოდიოდა. სამწუხაროდ, მათი აღრიცხვა-გაცემის არანაირი სისტემა არ არსებობდა, ანუ არ იღებდნენ შემოსავალში და, რაც ყველაზე გასაკვირია, ფასეულობათა უდიდესი ნაწილი ყოველგვარი მინდობილობის გვერდის ავლითაა გაცემული, ამასთან, არ არსებობდა განაწილების არანაირი პრინციპი. ცხადია, ყოველივე ეს არ იყო გამოწვეული უცოდინარობით, ქაოსი იქმნებოდა ხელოვნურად.

● *განა ყოველივე ამას ახლა თქვენთვის აქვს პრინციპული მნიშვნელობა?*

— რა თქმა უნდა, აქვს. ჯერ ერთი, რეალური სურათის დადგენაა შეუძლებელი, ხომ უნდა ვიცოდეთ, რისი მემკვიდრე გავხდით, მეორე — ყოველივე ამან ზიანი მიაყენა სფფ-ს ფინანსურ საქმიანობას, საბოლოო ჯამში კი ჩვენ პირისპირ დაგვტოვა არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ იურიდიულ პრობლემებთან.

● *თქვენ კანონების დარღვევა ახსენეთ, მაგრამ იმ პერიოდში კონკრეტულად სფფ-ს და, საერთოდ, ფეხბურთის მხარდასაჭერად გამოიცა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის, ეროვნული ბანკის განკარგულებები...*

— როცა კანონები ვახსენე, ყველაფერს ვგულისხმობდი. საერთოდ კი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მიეღწიათ და „ზემოდან“ მიეღოთ სფფ-ს მხარდამჭერი დოკუმენტები, რომელთა უხეშად დარღვევის მექანიზმი უკვე წინასწარ იყო მოფიქრებული.

აქვე გეტყვით საბანკო ანგარიშების თაობაზე ამტყდარ აჟიოტაჟზე. ქვეყნის შიგნით ამ ანგარიშების საკითხი, ასე თუ ისე, გარკვეულია, სამაგიეროდ, ბურუსითაა მოცული თუ ვის ეკუთვნოდა საბანკო ანგარიში №2-168968 შვეიცარიის ბანკში. სწორედ ამ ანგარიშზე „ილექებოდა“ სფფ-ს ფულადი სახსრების ნაწილი.

ხსენებული საბანკო ანგარიში შვეიცარიის ბანკში გაუქმდა 1998 წლის 28 აპრილს, რაც ირიბად მიგვანიშნებს, რომ იგი ეკუთვნოდა ნოდარ ახალკაცუმცროსს, რომელიც ამჟამად ცხოვრობს გერმანიაში.

● *კი მაგრამ, რას ნიშნავს უმცროს ნოდარ ახალკაცზე „ირიბი მინიშნება“?*

— ნოდარ ახალკაცის (მამის) ხელმოწერის ნიმუში, შვილის ხელმოწერის აბსოლუტურად იდენტურია. ამასთან, ლუქსემბურგში **„მინი მარკეტსა“** და უკვე ხსენებულ შვეიცარიულ ანგარიშს შორის დაფიქსირებულია მსხვილი ფულადი სახსრების მოძრაობა, რაც ფასიანი ქაღალდების ოპერაციაზე მეტყველებს. სფფ-ში არ აღმოჩნდა არანაირი კონტრაქტი ამ ოპერაციების წარმოებისა და პირობების შესახებ. მეტიც, ყოველივე ამის შემდეგ, ანუ **მას მერე, რაც დაიხურა ანგარიში უცხოეთის ბანკში, სფფ-ს ძირითად ანგარიშზე, შვეიცარიაში, სამჯერ „დაჯდა“ თანხა, საერთო ჯამში 213 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.** მე გეკითხებით, ვინ შეასრულა ეს საბანკო ოპერაცია, ან სფფ-ს კუთვნილი თანხა სრულად დაბრუნდა, თუ ნაწილი კიდევ სხვაგან გადაიგზავნა ვინმეს ანგარიშზე?

მაგრამ, ეს უკვე პროკურატურის საქმეა, რომელიც ამჟამად იძიებს 1992-1998 წლებში სფფ-ს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას.

● *კი მაგრამ, სადაა ლოგიკა და ობიექტურობა. ყველაფერი გამომზეურდა, დასჯით კი ჯერჯერობით სფფ-ს ახალი შემადგენლობა და ქართული ფეხბურთი დაისაჯა — ყადაღა დაედო ბანკში სფფ-ს ანგარიშს, რამაც უმძიმესი მდგომარეობა შექმნა.*

— მართლაც რომ, საოცრებაა! მიმდინარე წლის 22 მარტს სფფ საბანკო ანგარიშს „საქართველოს ბანკში“ ყადაღა დაადეს, დააპატიმრეს. 31 მარტს ფინანსური ჩათვლების კომისიამ 65 ათასი ლარი ჩაგვითვალა ბიუჯეტის სასარგებლოდ სპორტის დეპარტამენტის მიერ ჩვენთვის გამოყოფილი თანხიდან, ფედერაცია კი ვალს ნაწილნაწილ, ყოველთვიურადაც იხდის. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენი საბანკო ანგარიში არ გაათავისუფლეს, რამაც, ცხადია, შეიძლება ქართული ფეხბურთი კატასტროფამდე მიიყვანოს. დღეს პარალიზებულია სფფ-ს კანონიერი საქმიანობა. **ფაქტობრივად, ფედერაციის ადრინდელი ხელმძღვანელების მუშაობის მანკიერი სტილისკენ გვიბიძგებენ!**

რა დავარქვათ ამას? პროვოკაცია? (ვისგან?). უნებლიედ იბადება კითხვა: **არის კი ფეხბურთი საჭირო საქართველოში, საერთოდ?** დაე, ფეხბურთის გულშემატკივრებმაც განსაჯონ და გასცენ პასუხი ამ კითხვაზე.

● *არადა, მოთხოვნები დიდია — გავიდეთ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ეტაპზე, მაღალ დონეზე ჩავატაროთ საქართველოს ჩემპიონტი, თასის გათამაშება, უზრუნველვყოთ ფეხბურთის მასობრიობა, განსაკუთრებით, მოზარდებში...*

— ერთი რამ ცხადზე უცხადესია, იმ ვითარებაში, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, ყველა მიზანი და ოცნება განუხორციელებელი დარჩება. ვიმეორებ, თუ ასე გაგრძელდა, საფეხბურთო მეურნეობას ჩვენში კრახი არ ასცდება.

● *ვიცით, რომ ყველა პრობლემის თაობაზე ქვეყნის პრეზიდენტი ინფორმირებულია. მისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათს კი ქართული ფეხბურთისათვის იმედის მომცემი რეზოლუცია ახლავს...*

იხ. მე-2 გვ.

საგანგაშო სხვა რამ არის...

ჩვენი ფალავნები ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე მინსკში ოპტიმალური შემადგენლობით გაემგზავრნენ უფროსი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის, მწვრთნელების გია გალდავას და ნუგზარ სხირელის ხელმძღვანელობით. გუნდი „უპატრონოდ“ არც მსაჯის მხრივ დარჩენილა — ნაკრებს თან გაჰყვა ფილა-ს ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი ედიშერ მაჩაიძე, რომელიც სამსაჯოდ მიიწვიეს ორგანიზატორებმა.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ სოხუმელ ელდარ კურტანიძისა და გორელ დავით პოღოსიანის წარმატებებს და ამჯერად ამასვე მოველოდით, მაგრამ გულშემატკივართა იმედი თუმცა მთლად არ გაცრუებულა, მათგან ამჯერადაც მეტს მოელოდნენ. ელდარმა თავის წონაში (97 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, პოღოსიანი კი მხოლოდ VII ადგილს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი ხვდა აგრეთვე წილად ოთარ თუშიშვილს (58, გორი ასკ) და ემზარ ბედინეიშვილს (69, თბილისი, ასკ). აღსანიშნავია, რომ თუშიშვილი პირველად ჩართეს მწვრთნელებმა მოზრდილთა ნაკრებში და, როგორც ხედავთ, გაამართლა. დანარჩენებიდან V ადგილზე გავიდნენ გოჩა კირკიტაძე (54, ქუთაისი, „შევარდენი“) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე, თბილისი, „მართვე“). ორი მონაწილე კი საერთოდ, ვერ მოხვდა პირველ ათეულში — გოჩა ჩიხრაძე (85, გორი, „შევარდენი“) და რევაზ მინდიაშვილი (76, გურჯაანი, „მართვე“).

საგანგაშოა თუ არა ჩვენი ნაკრების შედეგები? თუ ობიექტურები ვიქნებით, მონაპოვარი ურიგო არ არის. გავიხსენოთ, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, მაშინ, როცა სპორტი მართლა ჰყვაოდა ჩვენში, ძალზე მძლავრ კონკურენციაში ერთ-ორ მედალს თუ ვიმსახურებდით. ახლა კი ევროპაში გუნდური IV ადგილი რით არის არასახარბიელო, მით უფრო, ჩვენს პირობებში? ასე რომ... დიახ, საგანგაშო ევროპაში სამი ბრინჯაოს მედალი და IV გუნდური ადგილი კი არა, სხვა რამ არის. კერძოდ, ის, რომ კონტინენტის ჩემპიონატზე ისე წავიდა ნაკრები, ეროვნულ ჩემპიონატში არ უსაუბარია — ვერ ჩატარდა უსახსრობის გამო და იმიტომ. საგანგაშო ისიც არის, რომ ახალგაზრდებშიც ვერ გაიმართება საქართველოს პირველობა იგივე მიზეზის გამო. აღარაფერს ვამბობთ ჭაბუკებზე. გამოდის რომ, დიდი სპორტისკენ თაობათა მიერ გაკვალული გზა გადაულახავი დაბრკოლებებით იხერგება. თუ სადამდე მიგვიყვანს ეს, ძნელი განსაჭვრეტი არ არის...

მ. ᲧᲣᲨᲣᲜᲐᲕᲐ

მილოცვა

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადების დღეს ულოცავს ამავე სამმართველოს თანამშრომელს *ნუნუ ვარდანაშვილს.*



კალათბურთი • ᲕᲐᲥᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

საგელეფონო სიგნალი ევერესტიდან

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, მარტის ბოლო დეკადაში, ევერესტზე გაემგზავრა ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ინტერნაციონალური ექსპედიცია, რომლის დევიზია „მშვიდობიანი მთები!“ მსოფლიოს ამ უმაღლეს მწვერვალზე (8848 მ) ასვლა, ადვილი არავისთვის არ არის და ვისაც მისი დალაშქრა განუზრახავს, გარდა იმისა, რომ რიგში უნდა ჩადგე, მაღალკვალიფიციური მომზადებაც უნდა გაიაროს, ხოლო შემდეგ უშუალოდ მთათა მასივში და დასალაშქრი მწვერვალის მისადგომებთან დაჰყოს გარკვეული პერიოდი. კავკასიელთა ექსპედიციის მოსამზადებელი პერიოდი 70 დღეს მოიცავს.

თბილისში მოუთმენლად ველოდით ინფორმაციას უშუალოდ ნეპალიდან. და აი, დაპირებისამებრ, ექსპედიციის ხელმძღვანელი ბენო ქაშაკაშვილი მობილური ტელეფონით დაგვიკავშირდა უშუალოდ ევერესტის მისადგომებიდან. ხელმძღვანელმა გვაცნობა, რომ ყველაფერი გეგმის შესაბამისად ხორციელდება. დელეგაციამ მწვერვალის სამხრეთ თხემზე 5400 მ. სიმაღლეზე მოაწყო საბაზო ბანაკი, ორი საიერიშო ბანაკი კი უკვე მზადაა 6100 და 6400 მეტრ სიმაღლეზე.

— განწყობა ჩინებულია. უშუალოდ მწვერვალზე იერიშს მაისის ბოლოს მივიტანთ, როგორც ეს დაგეგმილი გვაქვს. კიდევ შეგეხმიანებით, — დაასრულა ჩვენთან საუბარი დელეგაციის ხელმძღვანელმა.

იქცევა რუსთავი ქართული კალათბურთის ცენტრად?

როგორც ჩანს „ვითას“ ზეობის ხანა დამთავრდა, მაგრამ ხელახლა როდის წამოიღებს ეს გუნდი წელს, ან ძველებურად საერთოდ გაიმართება თუ არა, ახლა ძნელი სათქმელია, უველაფერს დრო და ფინანსური მხარდაჭერა გვიჩვენებს. როცა წლების განმავლობაში საქართველოს უპირველეს საკალათბურთო გუნდის „აღსასრულზე“ ვსაუბრობთ, ცხადია, მთავარი „დამნაშავე“ ის მოვლენებია, რაც გუნდში მოხდა ახლო წარსულში, მაგრამ „აზოტის“ დამსახურების უკუგდებაც არ შეიძლება. რუსთაველებმა საერთო ძალისხმევით მოახერხეს ამოტივტივება და „ვითა“ რომ ძველებური „ვითა“ იყოს, მათი პაექრობა ახლა უფრო საინტერესო იქნებოდა — ნაავადმყოფარი კაცი რა გასაკვირია ვინმემ რომ ადვილად დაჯაბნოს. მაგრამ ამით იმას როდი ვამბობთ, რომ „აზოტი“ რაიმეს დაუმსახურებლად იღებს, პირიქით, ამ გუნდის მიზანსწრაფვა შესაშურია, გულშემატკივარს კი ის ურჩევნია, „ვითაც“ და „აზოტიც“ ძლიერები იყვნენ და მათი პაექრობა საკალათბურთო დღესასწაულად იქცეს.

იქნებ, სწორედ ასეთი სანახაობის საცქერლად მოვიდნენ კალათბურთის ფანები „ვითა“ — „აზოტის“ მატჩზე და თამაშით გაწბილებულებმა ემოციები ვეღარ მოთოკეს. რისხვა საყვარელი გუნდის დამარცხებამ გამოიწვია, თორემ გამარჯვებული რუსთაველები, თავისიანებმა ლამის დაახრჩვეს ხვევნა-კოცნით. ამ შეხვედრაში რუსთაველები რევანშისთვისაც იყვნენ განწყობილნი. გახსოვთ ალბათ, წლეულს, ერთი მატჩი არ შედგა და „აზოტს“ გამარჯვება ჩაეთვალა, შემდეგ, როცა „ვითა“ ჩემპიონატს დაუბრუნდა, მთელი რისხვა „აზოტს“ დაატეხა და გამანადგურებელი ანგარიშით სძლია. ამის შემდეგ ეტყობა რუსთაველები უფრო მოძლიერდნენ, თბილისელებმა კი ჩვეული ფორმა ვერ აღიდგინეს.

მესამე წრის ამ მატჩში „აზოტი“ თავიდანვე დამაჯერებლად თამაშობდა და ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია მთელი ტაიმის განმავლობაში (45:34). მეორე ნახევარში ვითარება დაიძაბა და, საბოლოოდ, რომ ექსტრემალური სიტუაციებისთვის მსაჯები მაინცდამაინც ფსიქოლოგიურად ვერ აღმოჩნდნენ მზად. ტრიბუნებს ალბურიკით მოედო მღელვარება და მეტოქეთა გულშემატკივრებმა ერთმანეთზეც კი გაიწიეს, ხოლო რაც შეეხება თამაშს, რუსთაველებმა იგი თავიანთ სასარგებლოდ მიიყვანეს ლოგიკურ დასასრულამდე და ამ გამარჯვებით (93:64) ისინი 7 ქულით უსწრებენ უახლოეს მდევარს — ვითელებს. მესამე ადგილზეა სტუ — 44 ქ. სტუდენტებმა ამ ტურში „შევარდენს“ სძლიეს — 102:72.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრა: თსუ — „მაკაბი“ 62:82; სდასუ — ასკ 102:72; „ვითა“ — თსუ 89:73; „დინამო“ — „აზოტი“ 86:90, თსუ — „შევარდენი“ 102:83; „მაკაბი“ — ასკ 70:76; სდასუ — სსუ-ს და სტუ —„დინამოს“ მატჩები გადაიდო. ეროვნული ჩემპიონატი 2 მაისს განახლდება.

სამთო-თხილამურები **საქართველოს პირველობა**

გუდაურის გაზაფხული...

18 აპრილს, თავისი დაბადების დღე ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ შეჯიბრების მონაწილეებთან, ტრასაზე გაატარა

ზუსტად 15 წლის წინათ, 1984 წლის გაზაფხულზე გაიმართა პირველი ოფიციალური შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში გუდაურში და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სპორტული გუდაურის, ანუ საქართველოში კიდევ ერთი თვალსაჩინო სათხილამურო სპორტის კერის ისტორია.

გუდაურში, აპრილის მზიანი დღეების მიუხედავად, კვლავ უხვადაა თოვლის საფარი და საქართველოს უძლიერესი სამთო-მოთხილამურეები თბილისიდან, მესტიიდან, ბაკურიანიდან შეიკრიბნენ, რათა 3600 მეტრის სიმაღლიდან სტარტი აიღო ჩვენის ქვეყნის პრველობას სლალომში და გიგანტსლალომში. თუმცა ზოგიერთ მონაკვეთზე ქარი ქროდა, ამას შეჯიბრების 80-მდე მონაწილისათვის ხელი არ შეუშლია.

გოგონებში საუკეთესოდ იასპარეზა გერა აბრამაშვილისა და მალხაზ უდესიანის შეგირდმა თამარ რობაქიძემ. მან როგორც სლალომში, ასევე გიგანტურ სლალომში ორივე ცდაზე საუკეთესო შედეგები აჩვენა (შესაბამისად 01:57.50 და 02:00.37) და უძლიერესის სახელი ორგზის დაისაკუთრა. მეორე ადგილზეა თამარ გაგაძე (02:02.76), მესამეზე — მარიამ ცაიშვილი (02:05.77). ორივეს მწვრთნელია კოტე გაბრიჩიძე. სამივე სპორტსმენი თბილისიდანაა.

ვაჟებში სლალომში რობერტ (გიგლა) მახარაშვილმა მოიპოვა პირველობა (03:31.11), ავთანდილ ჯანგობეგოვი (01:31.83) მეორე იყო, დათო ნასყიდაშვილი (01:33.63) — მესამე.

შეჯიბრების მეორე დღეს გიგანტურ სლალომში ჯანგობეგოვი (01:41.12) საუკეთესო იყო, რობერტ მახარაშვილი (01:45.16) კი — მესამე. ბაკურიანელთა ტრიოს, ამ სახეობაში მეორე ადგილს მესტიელი მალხაზ ჯაფარიძე ჩაანაცვლა (01:43.91). მესტიელის მწვრთნელია ეკა უშხვანი, ბაკურიანელებისა — გრიშა ასლანიანი.

1984-1990 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის სლალომში პირველობა წილად ხვდა 14 წლის თბილისელ ვახტანგ კოპაძეს (01:55.71), მეორე შედეგი გამარჯვებულის თანაგუნდელს პაპუნა ლეფავას ჰქონდა (01:55.87) — ორივეს მწვრთნელია კ. გაბრიჩიძე. მესამე საპრიზო ადგილზე ბაკურიანელი ვასილ ებრალიძე გავიდა — 01:57.75 (მწვრთნელი გ. ასლანიანი).

ამ ასაკში, სლალომ-გიგანტში, ადგილები ასე განაწილდა: 1. ნიკა ჯალაღონია (თბილისი, მწვრთნელი დათო ჯაფარიძე) — 01:01.21, 2. ლეფავა (01:03.75), 3. იასონ აბრამაშვილი (ბაკურიანი, მწვრთნელი გ. ასლანიანი) — 01:03.94.

გოგონებში, სლალომ-გიგანტში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უძლიერესი იყო თამარ რობაქიძე. მეორე შედეგი მესტიელ ირინა ჯაფარიძეს ჰქონდა — 02:04, 88 (მწვრთნელი ე. უშხვანი). მესამე იყო ნინო თევზაძე 02:08.10, (მწვრთნელი დათო ჯაფარიძე).

და ბოლოს, გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ თამარ რობაქიძეზე. ამ გოგონას სპეციალისტების აზრით, ყველა მონაცემი აქვს გახდეს დიდი ოსტატი. თამრიკო ფრიადოსანია, სწავლობს თბილისის 165-ე სკოლის VI კლასში. 7 წლის ასაკიდან ეზიარა სათხილამურო სპორტს ოთარ ფავლენიშვილის და ნუგზარ კაციტაძის ხელმძღვანელობით. ორი მედალი, რომელიც მან ამჟამად მოიპოვა, პირველი დიდი ჯილდოა მის სპორტულ ბიოგრაფიაში.

სოფიო ხეთაგაშვილი,
„ლელოს“ სპეც კორ,
გუდაური

სპორტი — ყველასათვის...

„სპორტული საქართველო“ საქმით იწყებს...

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თბილისის ორგანიზაცია დიდად საჭირო და სასარგებლო თაოსნობით წარსდგა საჯაროდ, როცა გასულ კვირას თბილისის იპოდრომზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაციისა და დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველოსთან ერთად მოსახლეობის ღია საქალაქო მასობრივი გაჯანსაღების აქცია ჩაატარა. პროგრამაში იყო რბენა სხვადასხვა მანძილზე მონაწილეთა ასაკის გათვალისწინებით.

სურათებზე: გარბენის მომენტი; პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თავმჯდომარე რომან რურუა, სარბენ ბილიკზე მიესალმება ვეტერან ფალავანს და ფალავანთა აღმზრდელს შურა მაისურაძეს.

11 საათიდან იპოდრომის სარბოლო ბილიკი თმაშევერცხლილ და მთლად ჭაღარა (ყველაზე უფროსი მონაწილე 84 წლისა იყო) ჭარმაგ მამაკაცებსა და ქალბატონებს დაეთმო.

ასპარეზობას, რა თქმა უნდა, ამჯერადაც ჰყავდა საქალაქო და რესპუბლიკური გარბენების მუდმივი მონაწილენი, რბენის მოყვარულთა კლუბის ვეტერანი ა. სტროგეეკი, შარშანდელი გამარჯვებული 1000 მ რბენაში, ცხინვალიდან დევნილი ქალბატონი მზია მაქაცარია და ნიუიორკის საერთაშორისო მარათონის მონაწილეც კი — მსოფლიო ჩემპიონი ვეტერან მოჭიდავეთა შორის 70-ს გადაცილებული ფალავანი შურა მაისურაძე და სხვა.

მომავალი ჯარისკაცები სტადიონზე

წვევამდელთა ფიზიკურ მომზადებას ყოველთვის ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა და კარგია, რომ ჩვენში ეს საკითხი ახლა უყურადღებოდ არ რჩება, რაშიაც მაგალითს იძლევა თბილისის მერიის სპორტის სამმართველო (ვლადიმერ კანკავა), ცხადია, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით.

როგორ უნდა შედგეს წვევამდელთა საშეჯიბრო პროგრამა? რა თქმა უნდა, მომავალი მეომრებისთვის სპორტის გამოყენებითი სახეობების გათვალისწინებით, როგორიცაა რბენები ტყორცნები, ცურვა და სროლა.

თბილისელ წვევამდელთა წლევანდელ სპარტაკიადაში, რომელსაც ამ დღეებში უმასპინძლა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა, დედაქალაქის 9 რაიონის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. გუნდი მხოლოდ სამგორის რაიონმა არ გამოიყვანა. ადგილები ასე განაწილდა: 1. დიდუბე, 2. ჩუღურეთი, 3-4. ვაკე-ნაძალადევი.

სტარტზეა წვევამდელები

? *გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორია ამჟამად მსაჯთა ანაზღაურება ფეხბურთის მატჩებზე ჩვენს ქვეყანაში?*

მიხეილ კავილაძე (ოსთავი)

პასუხი: საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მთავარი მსაჯი ერთ მატჩში იღებს 110 ლარს, გვერდითი მსაჯი და სფფ-ს დელეგატი — 90-90 ლარს. მეორე ჯგუფში ეს თანხა შესაბამისად ასე გამოიყურება: 90, და 60-60 ლარი.

ვაი, ჩვენო ბორკილდადებულო ქართულო ფეხბურთო!

(პირველი გვერდიდან)

— დიახ, ასეა, მაგრამ რეზოლუციის რეალიზაციისათვის პრაქტიკული ნაბიჯები არ იდგმება. პირველ ყოვლისა, ამას სამთავრობო სტრუქტურების მისამართით ვამბობ.

● ***განა ქართულ ფეხბურთზე ზრუნვით არაა ნაკარნახევი „ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავება? რა სტადიაშია მისი მიღების პროცესი?***

— პირადად ჩემთვის დიდი ხანია გასაგებია, თუ რატომ ვერ იძვრის უკვე „მკვდარი წერტილიდან“ ზემოხსენებული პროგრამა.

● ***მაინც , რატომ?***

— წავიდა ის დრო, როცა ბევრი რამ იწერებოდა და საერთოდ, არაფერი კეთდებოდა. მით უფრო სპორტი, საერთოდ და კერძოდ, ფეხბურთი, ისეთი სფეროა, უმოქმედობას ვერანაირად ვერ შენიღბავ. ქვეყანამ უნდა დაინახოს, რა გაკეთდა. ვთქვათ პირდაპირ: დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა სახელმწიფოში არ იძლევა ქართული ფეხბურთის დახმარების შესაძლებლობას. იქნებ არც სურს. ფაქტები, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, განა ამაზე არ მეტყველებს?

● ***პროგრამის პროექტს, რადა თქმა უნდა, ალბათ თქვენ კარგად იცნობთ, მაინც, რა არის მასში მთავარი?***

— პირობითად რომ ვთქვათ, პროგრამაში ორი ძირითადი მიმართულებაა ასახული. პირველი — ესაა გეგმა, გათვლილი ათწლიან პერიოდზე და რომლის რეალიზაციის არავითარი საფუძვლები არ არსებობს და მეორე — საკითხები, რომელიც, საერთოდ არ უნდა იყოს შესული ამ პროგრამაში. მხედველობაში მაქვს ის, რაც სფფ-მ თავისი წესდების შესაბამისად, ისედაც უნდა განახორციელოს. რა საჭიროა, „ზემოდან“ ამის დუბლირება? **აი, ის საკითხები კი, რომელთა გადაჭრა სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გადაჭრას კიდეც, პროგრამის პროექტში „რატომღაც“ ვერ აისახა.**

● ***რაში ხედავთ გამოსავალს?***

— არაფრისმომცემ და ქაღალდის „სახელმწიფო პროგრამას“ ის სჯობს, ამ ეტაპზე ხელისუფლების დახმარებით მოგვარდეს პრობლემები, რაც მუშაობაში გვიშლის ხელს. შემდეგ კი, როცა რეალური ეკონომიკური საფუძვლები შეიქმნება ქვეყანაში, ის პროგრამაც მიიღონ. საქმისთვის ასე აჯობებს.

● ***პრობლემების მოგვარებაში რას გულისხმობთ, იმას, რის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა თუ სხვა საკითხებიც გაქვთ მხედველობაში...***

— სხვებიც, ცხადია. მათ შორის კი უმთავრესია ის, რომ ფეხბურთში და ფეხბურთელებისგან გამომუშავებული ფული, მთლიანად ისევ ფეხბურთს მოხმარდეს.

● ***ადრე, გრანტებთან დაკავშირებული პრობლემაც გაწუხებდათ, ისევ ძველებურადაა საქმე?***

— საბწუხაროდ, არაფერი შეცვლილა. გრანტის თაობაზე მოქმედი კანონი ითვალისწინებს, რომ გრანტის გამჩუქებელი შეიძლება იყოს საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია (ჩვენს შემთხვევაში — ფიფა-უეფა) ან ქვეყნის მთავრობა. ეს წესი, საუბედუროდ, არ ვრცელდება სპორტული ფორმა-ინვენტარის მწარმოებლებზე. სრულიად გაუგებარია, სხვა ქვეყნის მთავრობამ რატომ უნდა მისცეს გრანტი სფფ-ს, როცა თანადგომას შენი საკუთარი ქვეყანა გაურბის?

მსოფლიო მწარმოებლები მზად არიან სფფ-ს დაეხმარონ, მაგრამ კანონით ეს არ იქნება გრანტი და დაიბეგრება ყველა სახის გადასახადით, რისი შესაძლებლობა სფფ-ს დღევანდელი ფინანსური მდგომარეობით, არ გააჩნია.

ისე, ამ პრობლემის მოგვარებაც შესაძლებელია თუ შესაბამის კანონში შევა ასეთი შესწორება: **„გრანტის გამჩუქებლები ფეხბურთში (სპორტში), შეიძლება იყვნენ სპორტული ფორმის, ინვენტარის და მოწყობილობათა მსოფლიო მწარმოებლები, კერძო პირები, იმის გარანტიით, რომ არ მოხდება მიღებული ქონების სავაჭრო რეალიზაცია და უსასყიდლოდ დაურიგდებათ სფფ-ს სუბიექტებს“.**

სფფ-ს მიერ **შესყიდული** და **უსასყიდლოდ** კლუბებსა და სკოლებზე გადაცემული სპორტული ქონება (ხელოვნური მოედანი, კარები, ბადე, ბურთები და ა.შ.) ფეხბურთისთვის იგივეა, რაც ჩარხები, აღჭურვილობები და ტექნოლოგიური ხაზები მრეწველობისათვის. გეკითხებით, რატომ უნდა ვიხდიდეთ ჩვენ 5-ჯერ მეტს განბაჟებისათვის, ვიდრე მრეწველები? თანაც, მრეწველები, ჩვენგან განსხვავებით ხომ თავიანთ პროდუქციას რეალიზაციაში უშვებენ. შესაბამისი ცვლილება კანონში ამის გათვალისწინებითაც უნდა შევიდეს. ბოლოს და ბოლოს გაგვათანაბრონ მრეწველებთან.

რაც მთავარია: სახელმწიფო, უბრალოდ რომ ვთქვათ, ვალდებულია საქმით მიიღოს მონაწილეობა ეროვნული ნაკრების მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში წარმატებით გამოსასვლელად. ეს ნაკრები ხომ უცხოეთში ჩვენს ქვეყანას წარმოადგენს. ნუ გვავიწყდება, რომ შენს ჰიმნს უცხოეთში უკრავენ, როცა სტუმრად ჩადის ქვეყნის პრეზიდენტი და კიდევ მხოლოდ მაშინ, როცა ეროვნული ნაკრები გუნდის მონაწილეობთან მატჩი იმართება. განა ეს ცოტას ნიშნავს?

● ***სადღეისოდ ორი თემა დომინირებს. ერთი ეხება სფფ-ს კონტრაქტს „ტელესპორტთან“, მეორე — ინდივიდუალურ სავარძლებს ჩვენს ეროვნულ სტადიონზე. შეგიძლიათ რაიმე ახალი თქვათ?***

— ჯერ სკამების თაობაზე გეტყვით. ამ ისტორიამ ნამდვილად დეტექტივის ხასიათი მიიღო. სფფ-ს ყოფილმა ხელმძღვანელობამ „დააბნია“ ქვეყნის ხელისუფლება და სამუშაოები გააფორმა როგორც უეფას გრანტი.

უეფაში მ. ჟორდანიას და ჩემი ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს კონტრაქტი, რომლის თანახმად ჩვენს სტადიონზე ინდივიდუალური სავარძლები დაიდგა... პროცენტით აღებული 1 მილიონი შვეიცარიული ფრანკის კრედიტით. ყოველწლიურად ჩვენმა მხარემ 70 ათასი შვეიცარიული ფრანკი უნდა გადაიხადოს 20 წლის განმავლობაში, ასე რომ, დასაბრუნებელი თანხა 400 ათასით იზრდება.

კარგით, ვთქვათ სფფ მზადაა უეფას გადაუხადოს, რაც საჭიროა, მაგრამ ჩვენ ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას გაფორმების მთელ პროცედურაზე.

რაც შეეხება კონტრაქტს „ტელესპორტთან“. აქ იკვეთება აზრი იმის შესახებ, რომ სფფ-ს მხრიდან, თავდაპირველად კონტრაქტს ხელი მოაწერა ან არაკომპეტენტურმა (რაც ძნელი დასაჯერებელია) პირმა, ან ყველაფერი გაკეთდა შეგნებულად. ჩვენი მოლაპარაკებისა და კონტრაქტის პირობების განახლების დროს, პრაქტიკულად კონტრაქტის ყველა პუნქტში გამოვლინდა რეზერვები ჩვენ სასარგებლოდ და კონტრაქტში შევიტანეთ სათანადო ცვლილებები.

● ***ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება თუ ამ ცვლილებებსაც გაგვაცნობთ...***

— მაშინ, ნომრებად ჩამოვთვლილ: 1. „ტელესპორტმა“ სფფ-ს უფასოდ გადასცა სატელევიზიო და სარეკლამო უფლება საქართველო-უკრაინის ამხანაგურ და საქართველო-ლატვიის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებზე; 2. გაორმაგდა ის თანხა, რომელიც დაწყებული 2000-2001 წლებიდან უნაცვალგებოდ უნდა გაიღოს „ტელესპორტმა“ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობისთვის მოსამზადებლად; 3. „ტელესპორტისგან“, 2002 და 2004 წლების მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების წინ სფფ მიიღებს 500 ათას აშშ დოლარს, რომელიც დაიფარება ორ ეტაპად — 250 ათასი 2001 წლის 31 დეკემბრამდე და 250 ათასი — 2003 წლის 31 დეკემბრამდე; 4. გაიზარდა საკონტრაქტო თანხა საკვალიფიკაციო მატჩებზე ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, თურქეთი, შვეიცია, ნორვეგია. დანიასთან კი თანხა გაიზარდა აგრეთვე, როგორც საკვალიფიკაციო, ისე ამხანაგურ მატჩებზე. აქვე დამატებით შევიდა შესწორება იმის თაობაზეც, რომ თუ საკვალიფიკაციო მატჩი ჩატარდება გერმანიასთან ან იტალიასთან, სალიცენზიო თანხის მოცულობა დაითქმება ცალკე შეთანხმებით.

ამასთან, ყველა ციფრი კონტრაქტში საბაბისოა და ბაზარზე

არსებითი ცვლილებების შემთხვევაში, ორივე მხარე მზად იქნება თანხების კორექტირებისათვის. კონტრაქტი ძალამოსილია 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

2003-2005 წლებში საკვალიფიკაციო და ამხანაგური მატჩების სალიცენზიო თანხების თაობაზე, მხარეები შეთანხმდებიან ხელახლა.

1998 წლის 3 ივნისს კონტრაქტში შეტანილი დამატებები, რომელსაც სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ა. ჩივაძე აწერდა ხელს, გაუქმებული და ძალადაკარგულია მხარეების მიერ ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, ანუ 1999 წლის 24 მარტიდან.

● *დავუბრუნდეთ შინაურ პრობლემებს. ფინანსებთან დაკავშირებით მძიმე სურათი დაგვიხატეთ, კი მაგრამ, ხომ არსებობთ, საიდან, როგორ, დაფინანსების რა წყაროთი საზრდოობთ?*

– წესით უნდა ვარსებობდეთ ფიფა-უეფას გრანტის, ნაკრების მატჩებისას სატელევიზიო, აბონემენტების და ბილეთების შემოსავლებით. მაგრამ საქართველოს ტელევიზიას ერთი თეთრიც არ გადაუხდია არასდროს, რეალიზებულ აბონემენტ-ბილეთებსა და ფაქტობრივად მატჩებზე დამსწრე მაყურებელთა რაოდენობას შორის კი 10 ათასშია სხვაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ უდიდესი თანხა ვიღაც-ვიღაცეების ჯიბეში მიედინება.

ასე რომ, რჩება ერთადერთი იმედი – ფიფას და უეფას გრანტი, აგრეთვე „ტელესპორტიდან“ მიღებული საკონტრაქტო თანხა. მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი სფფ-ს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

● *სპონსორებზე რას იტყვით?*

– კარგს და სახარბიელოს ვერაფერს. ადგილობრივი ბიზნესმენები ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ მათ ქველმოქმედებას სახელმწიფო დადებითად შეაფასებს, მათგან დახმარების მიღებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

● *თქვენთან ინტერვიუ შეიძლება კიდევ ნ თვე არ შედგეს. ამიტომ გვინდა ერთიც გკითხოთ: სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას წინასაარჩევნო პროგრამაში მრავალთაგან იყო ორი, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – ეროვნული ნაკრებისთვის საკუთარი ბაზის მშენებლობა და სფფ-ს შენობის რეკონსტრუქცია. რა სტადიაშია მათი რეალიზაცია?*

– მერაბი პრეზიდენტად არჩევის პირველი დღიდანვე შეუდგა დანაპირების შესრულებისათვის ზრუნვას. ნაკრების ბაზისთვის გამოიკვეთა ორი ვარიანტი. ერთი – მცხეთაში, თავდაცვის სამინისტროსგან და მეორე – გლდანში, ოლიმპიური მომზადების ცენტრში. ახლა საქმე არჩევანზეა.

ფიფამ და უეფამ განიხილა, როგორც ხსენებული ბაზის, ისე სფფ-ს შენობის რეკონსტრუქციაში დახმარების გაწევის საკითხი და გადაწყვიტა გამოყოს 400 ათასი შვეიცარიული ფრანკი იმ პირობით თუ ადეკვატურ თანხას ქვეყნის მთავრობაც გაიღებს.

● *კი, მაგრამ, როცა ბანკში ანგარიშს ყადაღა აქვს დადებული და მთავრობა ვერაფერში დაგ ხმარებიათ, მისგან რაიმე ფულად შემწეობას მოელით?*

– სავალალო და სამწუხარო სწორედ ეგ არის, რომ არ მოველით. სპორტის დეპარტამენტმა დააყენა საკითხი, რომ „სპორტის ეროვნული ფონდის“ ლატარია „ტოტო-ლოტოს“ შემოსავლის 50% სპორტს მოხმარდეს. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა კი გაუმართლებლად იგვიანებს.

● *ბოლო შეკითხვა: ხომ არ ჩაფლავდა ეროვნული ჩემპიონატის რეორგანიზაციის თემა, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ?*

– გადაჭრით ვამბობ, არა! ჩემპიონატის რეგლამენტის ახალი პროექტი უკვე მზადაა და სფფ-ს ბიულეტენის მე-4 ნომერში გამოქვეყნდება. კლუბებმა 10 დღის ვადაში უნდა წარმოადგინონ წინადადებები, შენიშვნები და შესწორებები, რასაც შემდეგ განვიხილავთ სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ახალი რეგლამენტი სასარგებლოდ წაადგება ქართულ ფეხბურთს.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ 10 დღე ცოტაა გასაცნობად და საპასუხოდ. არა, სფფ 1998 წლის დეკემბრიდან სთხოვდა ყველას წარმოედგინათ პროექტის თავისეული ვარიანტი. მხოლოდ „დინამო“ გამოგვეხმაურა. მეტი ლოდინი აღარ შეიძლება. კლუბებმა 1999-2000 წლების საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების ახალი რეგლამენტი 3 თვით ადრე ხომ მაინც უნდა მიიღონ.

ნება მომეცით ამით დავამთავრო...

ესაუბრა
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი უეხბურთში (II ფრე)

პირველი ჯგუფი XXIII ტური

ლოკომოტივი (თბილისი) – გურია (ლანჩხუთი) 1-0

ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი (ხორგუაშვილი, 72), დ. მუჯირი (დაუშვილი, 64), ვ. კილასონია, შ. ხუჯაძე (ბაქრაძე, 46), გოგობერიშვილი, გოდერძიშვილი, წიგწიგაძე.
გურია: ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, მაჩიტაძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი, შავშიშვილი, შ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე (სვანიძე, 46), ენუქიძე, გულორდავა (ძოძუაშვილი, 70).
გოლი: გოგობერიშვილი (78, პენ).
გააფრთხილეს: კვეკვესკირი.
მსაჯი: გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

ლანჩხუთელთა ასეთ შეუპოვრობას საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან ცოტა ვინმე თუ ელოდა, გურულები მაგრად დაუდგნენ რკინიგზელებს, მაგრამ დასანანი მარცხი განიცადეს. „ლოკომოტივის“ ინერტული თამაში შესაძლოა იმითაც იყო განპირობებული, რომ დღეს, 20 აპრილს საქართველოს თასის ნახევარფინალის განმეორებით მატჩში უმძიმესი ბრძოლა ელის წყალტუბოში. ასეა თუ ისე, „გურიას“ ქულის აღება 26 მაისის სახელობის სტადიონზე ნაღდად შეეძლო. მასპინძლები უმნიშვნელო უპირატესობას პირველ ტაიმშიც ფლობდნენ, მუჯირი შორეული დარტყმებით ცდილობდა ნიკურაძის კარის აღებას, კარგი შანსი ჰქონდა კილასონიას, რომელსაც ბოლო მომენტში ბურთი ფეხიდან აეჭრა, გურულებმა კი ერთი ორი მწვავე კონტრშეტევით უპასუხეს ლოკომოტიველებს.

მეორე ტაიმში მასპინძლების ტერიტორიული უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, მაგრამ სიმწვავე ნიკურაძის კართან არ იქმნებოდა. ეგ იყო, რომ გოგობერიშვილის მიერ შესრულებული საჯარიმო ზედა ძელმა აისხლიტა, მაგრამ როცა შეცვლაზე შემოსული ხორგუაშვილი „გურიას“ საჯარიმოში შეიჭრა კვეკვესკირის გაშვერილ ფეხს „ოსტატურად“ წამოეგო და მინდორზე განერთხა. გურამ ასკარ-ოღლს კი რაღა დარჩენოდა 11-მეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა...

ლანჩხუთელებს გაშვებული გოლის შემდეგ ნირი არ წახდომიათ – შოთა მახარაძე თითქმის პირისპირ დარჩა დოლაბერიძესთან, მაგრამ მცირედით აეცილა „ლოკომოტივის“ კარს.

დათო თავართქილაძე

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ოდიში (ზუგდიდი) — მერანი-91 (თბილისი) 0-1

ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აკობია, ჯავაშვილი, აფაქიძე, ტაბაღუა, კუტალია, მარკოზია, ბობოხია, გვირია.
მერანი-91: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძილაშვილი, ცქიფურაშვილი (ხარებავა, 46), ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა (ბ. ჯელიძე, 73), ბ. ამბიძე, ხუციშვილი, დავითაშვილი.
გოლი: თოლორდავა (66).
გააფრთხილეს: ჯავაშვილი, მარკოზია, ალადაშვილი, დავითაშვილი.
მსაჯი: ავთანდილ ორდინიძე (ონი).

იბერია (სამტრედია) — დილა (გორი) 2-0

იბერია: დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქუდლაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ნ. გიორგაძე, 38), ვარდიაშვილი (ცომაია, 87), მუმლაძე.
დილა: სოფოლაშვილი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლომიძე, არუთინიანი (ხიხალაშვილი, 63), ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი (რ. ახალკაცი, 58), მ. მინდიაშვილი, შატიკაშვილი.
გოლები: ს. გიგიაძე (33, პენ.), ივეჩიანი (86).
გააფრთხილეს: მილელთაძე, მინდიაშვილი.
მსაჯი: ალექსანდრე მეშოკავი (თბილისი).

ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — სამგურალი (წყალტუბო) 3-0

ვიტ-ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოთაძე, ქემოკლიძე, ერაძე (ბოკერია, 46), გიორგი ქორიძე, მაზიაშვილი, კ. ალადაშვილი, დ. დოლიძე, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ვ. გოჩაშვილი (გვირჯიშვილი, 80).
სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, თევზაძე, სუხიაშვილი, ღონღლაძე, ჯავახიძე, მ. ჯინჯარაძე, დ. პეტრიაშვილი, გლეწჩაძე (ქუთათელაძე, 61).
გოლები: ბოკერია (46, პენ.), ქორიძე (62), ალადაშვილი (82).
გააძევეს: თევზაძე, პეტრიაშვილი.

ტორპედო (ქუთაისი) — არსენალი (თბილისი) 1-1

ტორპედო: სტურუა, ახვლედიანი, ჩხაბერიძე (მეგრელაძე, 46), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე (მაზანიშვილი, 77), ვაჩიბერაძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, იმედაძე (მეტრველი, 76).
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია (კოხრეიძე, 76), მ. მაისურაძე, ზარაქიშვილი (კვირკველია, 90), გაგუა, აბაზაძე, ხოსრიშვილი, ტარიელაშვილი.
გოლები: ზარაქიშვილი (72), ვაჩიბერიძე (90).
გაფრთხილეს: ახვლედიანი, ჩხაბერიძე, ჩხეტიანი, გაგუა, აბაზაძე, ყოლბაია.
მსაჯი: ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

კოლხეთი-1913 (ფოთი) — გორდა (რუსთავი) 5-0

კოლხეთი-1913: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ბურკვაძე, 76), ანჯაფარიძე (ჩაგანავა, 85), ღაღანიძე, ამაშუკელი (ჩადუნელი, 12), ტრაპაიძე, ე. გვასალია, შავგულიძე, კალანდაძე.
გორდა: ოქროპირიძე, მჭედლიძე, კვდელაშვილი (ბექაური, 46), სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე, მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ლაბაძე, 63), ლ. ალადაშვილი (ბაბუნაშვილი, 66), მიშველიძე.
გოლები: ღაღანიძე (8), გვასალია (13), შავგულიძე (25, 52), კალანდაძე (84).
მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

თსუ (თბილისი) სიონი (როსლნისი) 1-0

თსუ: გაბელია, ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ხუჭაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, დეკანოსიძე, ჭუმბურიძე (გონჩაროვი), როსტიაშვილი.
სიონი: გუგუნავა, გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სულთანოვი (სვანიძე), ამბიძე, მ. სამხარაძე, ჯაფარიძე, გოგოლაძე (გაგუა), თ. სამხარაძე, ხარებაშვილი, მოსეშვილი (ჩალაძე).
გოლი: კობიაშვილი.
მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

„დინამო“ (ბათუმი) – „დინამო“ (თბილისი) 0-0

ბათუმის „დინამოს“ სტადიონი. 17 აპრილი, 12 ათასი მაყურებელი.
„დინამო“ (ბთ.): ტოგონიძე, ჰაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ივანე მახარაძე, მალხაზ მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, კანთიძე (ღლონტი –35), გადელია (რუსია – 62), ხომერიკი.
„დინამო“ (თბ.): გვარამაძე, მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, მაჭავარიანი, სახვაძე, გუჩუა, ალექსიძე, წიტაიშვილი, (ქებაძე-66), აშვეთია (ტუღუში – 83) ჯინჭარაძე.
გაფრთხილეს: სახვაძე, ი. მახარაძე, გუჩუა.
გააძევეს: გუჩუა (65).
მსაჯი: ალექსანდრე სილაგაძე (თბილისი).

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატის 23-ე ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართა. აქ შეიძლება ითქვას, მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი, მაგრამ ისე დატოვეს ტრიბუნები, გოლი ვერ იხილეს.

ეს გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში სულ 18-ჯერ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. აქედან ბათუმელთა აქტივშია 2 მოგება და 4 ფრე, რომელთაგან ერთს ამ ჩემპიონატის პირველ წრეში, თბილისში მიაღწიეს ბათუმელებმა.

მე-19 შეხვედრის პირველი ნახევრის 10-12 წუთი ისე მიიწურა, რომ ვერცერთმა მხარემ ვერ მოიპოვა სათამაშო უპირატესობა. ძირითადად მეტოქეები კონტრიერიშებით ცდილობდნენ საგოლე მომენტების შექმნას.

მე-14 წუთზე ლევან ხომერიკმა საჯარიმო მოედნის ახლოს მიიღო ბურთი გადელიასგან, ელვისებური სისწრაფით დაიძრა მეტოქის საჯარიმოსკენ, უკან ჩამოიტოვა ორი დარაჯი და ძლიერადაც დაარტყა: გვარამაძემ თავგანწირული ნახტომით მოიგერია ბურთი კუთხურზე. ათიოდე წუთის შემდეგ კი ალექსიძემ დაახლოებით 20 მეტრიდან ჩინებულად დაარტყა მასპინძელთა კარში. აქ კი ტოგონიძემ იმარჯვა. მალე კარგ სიტუაციაში აღმოჩნდა წიტაიშვილი, მაგრამ ტოგონიძე დროულად გამოვიდა კარიდან და დაეუფლა ბურთს. მატჩის 32-ე წუთზე ლევან ხომერიკი წამოიპარა მაჭავარიანს, ოსტატურად ასროლა ბურთი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში იჩქარა და დაიკარგა კარის აღების კიდევ ერთი შესაძლებლობა. 41-ე წუთზე ალექსიძე სწრაფად შეიჭრა საჯარიმოში, ჩინებულადაც დაარტყა, მაგრამ ეს დარტყმა მახარაძემ მიიღო, ბურთი ძელს შეეხო და კუთხურზე გავიდა.

შესვენების შემდეგ უმალვე ტოგონიძემ მუშტით მოიგერია სახიფათო დარტყმა, ბურთს მიუსწრო აშვეთიამ და მაკრატელათი გაგზავნა ცარიელი კარისკენ. მაგრამ მცველებმა მოახერხეს დარტყმის გაუვნებელყოფა.

შემდეგ მეტოქეებს არაერთხელ მიეცათ საგოლე მომენტის შექმნის შესაძლებლობა, მაგრამ ზრახვები კარის მისადგომებთან იფუშებოდა. მას შემდეგ, რაც არბიტრმა გუჩუა გააძევა მასპინძლები მთელი 25 წუთი გამუდმებით უტევდნენ სტუმრების კარს. მაგრამ გვარამაძე და მცველები იგერიებენ სახიფათო მომენტებს. არადა, ბათუმელებმა მატჩის მიწურულში ორი საგოლე მომენტი შექმნეს.

საბოლოოდ მეხუთე ფრე ამ გუნდების შეხვედრაში.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპოდენტი,
ქ. ბათუმი

მატჩის დაწყების წინ ფეხბურთიდან გააცილეს ბათუმის „დინამოს“ მარჯვენა მცველი ვალერი შანიძე. ვეტერანმა ფეხბურთელმა თხუთმეტი წელი დაჰყო მწვანე მინდორზე და ერთგულად ემსახურა ქართულ ფეხბურთს.

XXIII ტურის შემდეგ

1.	დინამო (თბ)	23	18	5	0	70-10	59
2.	ტორპედო	23	15	4	4	52-20	49
3.	ლოკომოტივი	23	11	11	1	28-13	44
4.	დინამო (ბთ)	23	10	9	4	33-16	39
5.	კოლხეთი	23	11	4	8	48-34	37
6.	მერანი-91	23	8	9	6	23-21	33
7.	დილა	23	9	5	9	29-35	32
8.	ვიტ-ჯორჯია	23	10	4	9	27-20	31
9.	იბერია	23	8	5	10	34-37	29
10.	არსენალი	23	6	9	8	27-40	27
11.	სამგურალი	23	7	3	13	20-40	24
12.	თსუ	23	5	8	10	17-21	23
13.	გორდა	23	4	9	10	14-29	21
14.	ოდიში	23	6	2	15	16-39	20
15.	სიონი	23	5	5	13	19-42	20
16.	გურია	23	3	3	17	22-56	12

ვიტ-ჯორჯიას დაკლებული აქვს სამი ქულა

XXIII ტურის სტატისტიკა

● ტურის *„მიღწევებად“* შეიძლება ჩაითვალოს:
1. ლანჩხუთის „გურიას“ ზედიზედ მე-6 წაგება.
2. თბილისის „ვიტ-ჯორჯიას“ ზედიზედ მე-4 მოგება.
3. „თსუ“-ს, „დინამო“ თბ-ს და „დინამო“ ბთ-ს ზედიზედ 4 მატჩია (360 წთ) გოლი არ გაუშვიათ.
4. ზუგდიდის „ოდიშს“ ზედიზედ 4 მატჩში (360 წთ.) გოლი არ გაუტანია, ხოლო რუსთავის „გორდას“ კი ზედიზედ 6 მატჩია (540 წთ.) გოლი არ გაუტანია.

● 8 მატჩში გატანილია 15 ბურთი. (რაც შეადგენს საშუალოდ ერთ მატჩში 1,8 ბურთს.)
მასპინძლებმა გაიტანეს 13 გოლი (გატანილი გოლების 87 %), სტუმრებმა გაიტანეს 2 ბურთი (13 %).

● მასპინძლებმა გაიმარჯვეს 5 შეხვედრაში, ფრედ დამთავრდა 2 მატჩი, სტუმრებმა გაიმარჯვეს ერთ შეხვედრაში.

● ტურში დაფიქსირდა 2 დიდი ანგარიშით მოგება („ვიტ-ჯორჯია“ და „კოლხეთი-1913“). ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 38 დიდი ანგარიშით მოგება.

● „შშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: მ. გვასალიამ („კოლხეთი-1913“) — 2 ჯერ; დოლიძემ („იბერია“) — 3 ჯერ; გაბელიამ („თსუ“) — 6 ჯერ; ტოგონიძემ („დინამო“ ბთ) — 7 ჯერ; ლომაიამ („მერანი-91“) — 9 ჯერ; ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია“) — 10 ჯერ; გვარამაძემ („დინამო“ თბ.) — 11 ჯერ; დოლაბერიძემ („ლოკომოტივი“) — პირველად.

● ტურში დაინიშნა 3 „პენალტი“ (ყველა რეალიზებულია).
ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 60 „პენალტი“ (რეალიზებულია 49).

● გააძევეს 3 ფეხბურთელი (ვ. გუჩუა — „დინამო“ თბ, თევზაძე და პეტრიაშვილი (ორივე — „სამგურალი“).

● ჩემპიონატის დაწყებიდან მსაჯებმა 26-ჯერ უჩვენეს წითელი ბარათი ფეხბურთელებს. ამ მხრივ „ლიდერობენ“: „დინამო“ თბ. — 4 გაძევება (გუჩუა 2, ტუღუში, მიქაძე); „სამგურალი“ — 4 (ფაიქიძე, ბურნაძე, თევზაძე, პეტრიაშვილი); „დილა“ — 3 (ციცქიშვილი, მაისურაძე, თაყაძე); „ვიტ-ჯორჯია“-2 (მენთეშაშვილი, დვალიშვილი); „გურია“-2 (ბულუხია, ბოლქვაძე); „სიონი“- 2 (გოდერძიშვილი, ვოლკოვი); თითო ფეხბურთელი გაუძევეს: „ტორპედოს“ (ჩხაბერიძე); „დინამო“ ბთ (პაპიძე); „კოლხეთს-1913“ (გოროზია); „ლოკომოტივს“ (გოგობერიშვილი): „მერანი-91“-ს (ქორიძე); „არსენალს“ (გველესიანი); „ოდიშს“ (ბარქაია); „თსუ“-ს გაბელია).
ერთადერთი გუნდი, რომლის ფეხბურთელი არ გაუძევებიათ რუსთავის „გორდაა“.

● ტურში 3 ფეხბურთელს დაატოვებინეს მინდორი, ხოლო 15 გაფრთხილებულია. ყველაზე „უხეში“ მატჩებია: „ტორპედო“ — „არსენალი“ — 6 გაფრთხილება, და „ვიტ-ჯორჯია“ — „სამგურალი“— 2 გაძევება.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო“ თბ.) — 20
ზ. იოსანიძე („ტორპედო“) — 15
ლ. ხომერიკი („დინამო“ ბთ.) — 14
დ. მახარაძე („გურია“) — 13
ჰ. წიგწიგაძე („ლოკომოტივი“) — 12
ე. გვასალია („კოლხეთი-1913“) — 12
ა. კაიდარაშვილი („დილა“) — 9
დ. ჯანაშია („ტორპედო“) — 9
გ. მეგრელაძე („ტორპედო“) — 9
რ. ალექსიძე („დინამო“ თბ) — 9
ზ. ზარაქიშვილი („არსენალი“) — 9

ვეფხვია ჯალადონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

რა უნდათ ქართველ ფეხბურთელებს მაგადანსა და ვორკუბაში?..

რუსეთის ჩემპიონატში ქართველ ფეხბურთელთა რიცხვმა უკვე რამდენიმე ათეულს გადააჭარბა. ისიც ვთქვათ, რომ ჩვენი „კარის მეზობლები“ ამ ბოლო დროს ერთობ მაღალი დონის პირველობას ატარებენ (უმაღლეს ლიგაზეა საუბარი) და აქედან გამომდინარე, ქართველი ლეგიონერების მასობრივი მიგრაცია „დიადი“ რუსეთის თვალუწვდენელ ადგილებში ნამდვილად მისასალმებელია. თანაც, თითქმის ყველა ქართველი ფეხბურთელი თავის კლუბში უპირობო თუ არა, ერთ-ერთი ლიდერთაგანი ნამდვილად არის. ზაზა ჯანაშია მოსკოვის „ლოკომოტივის“ უპირველესი გოლიადორია, ისევე, როგორც გიორგი დემეტრაძე „ალანიასა“, 34 წლის გოჩა გოგრიჭიანს კი ჩვენი რუსი კოლეგები სოჭის ფეხბურთის ლეგენდას უწოდებენ; იმავე სოჭის „ყემჩუჟინაში“ ყველა სტანდარტული მდგომარეობის ოსტატი ხომ გიორგი გოგიაშვილი გახლავთ, როგორც ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ — ბადრი სპანდერაშვილი; სამარის „კრილია სოვეტოვმა“ კი თავის კაპიტენად ქართველი ფეხბურთელი აირჩია — ეროვნული ნაკრების კანდიდატი ზურაბ ფოფხაძე. არანაკლები წარმატებით გამოდიან ჩვენებურები რუსეთის I ლიგაშიც, სადაც მამუკა ხუნდაძე ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლება (მოგეხსენებათ, რომ ყოფილი ქუთაისის „ტორპედოელი“ სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივში“ ასპარეზობს მწვრთნელ გიგი ნოდიას ხელმძღვანელობით). დიახ, ყოველივე ეს ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია და მთლიანობაში ქართული ფეხბურთისთვის არის სახეირო, მაგრამ როცა რუსეთის II (!) ლიგაში მიდიან ჩვენებურები, აი აქ კი, კლასის ამაღლებაზე ზედმეტია საუბარი. შეიძლება ვცდებით, მაგრამ ტერიტორიული პრინციპით (ციმბირი, ურალი, სამხრეთი, ვოლგა-სპირეთი და ა.შ.) დაყოფილი რუსეთის II ლიგა არა გვგონია, რომ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს აღემატებოდეს. და რაოდენ საწყენიც უნდა იყოს, თამაშობენ ქართველები სახალინზეც და ბაიკალისპირეთშიც, ურალშიც და დასავლეთ ციმბირშიც (აი, ტუნდრა და ტაიგა რომ არის); ახლა გუნდების სახელებს აღარ იკითხავთ? — „ბიოხიმიკმორდოვია“ თუ „ოკეან“, „ანგუშტი“ თუ „ავგაზჯაბელი“ და ასე შემდეგ... ახლაც, რუსეთის II ლიგაში კიდევ ერთი ჩვენებური გამოჩნდა — 90-იანი წლების დასაწყისის სოხუმის „ცხუმის“ ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი იური გაბესკირია. გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ ამ ტექნიკური ფეხბურთელის ორგანიზატორული ნიჭი (პლუს ბომბარდირული თვისებები) და ამიტომაც იყო, რომ 1994-95 წლებში გაბესკირია საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატიც გახლდათ. იგი ერთი პერიოდი (თან, საკმაოდ წარმატებითაც) რუსეთის უმაღლეს ლიგაშიც თამაშობდა — ჯერ „კამაზში“, შემდეგ — „ჩერნომორეცში“, შემდეგ „ბედის საძებნელად“ უკრაინასა და გერმანიის ობერ-ლიგასაც მიაშურა, მაგრამ ერთ დროს მქუხარე სახელიანი, ამჟამად მეორე ლიგის დონეზეც არაფრით გამორჩეულ კრასნოდარის „ყუბანში“ აგრძელებს კარიერას.

...ზემოთ რომ ვთქვით, რუსეთის II ლიგა ჩვენს ჩემპიონს ვერაფრით აღემატებაო, ერთი გამოგვრჩა — უკეთესი ფინანსური პირობები! ჰოდა, არც ისეა უნდა გაგვიკვირდეს, მაგადანისა თუ ვორკუტის გუნდებში ქართველი ფეხბურთელი რომ თამაშობდეს...

ბიბოიმხილველი

ვლადიმერ ბარქაიას, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს კარგად იცნობს გულშემატკივარი და არა მარტო ჩვენში. ცხადია, ბედნიერია ის, ვისაც მისი ცეცხლოვანი და გონივრული თამაში უნახავს. „ლელოს“ არაერთი წერილი მიუძღვნია ფეხბურთის ამ დიდოსტატისათვის. მაგრამ თუ ერთხელ კიდევ ვუბრუნდებით მის პიროვნებას და დამსახურებას, იმიტომაც რომ ახალგაზრდებმაც უნდა იცოდნენ თუ ვინ და რა შემართების ფეხბურთელები ქმნიდნენ ქართული ფეხბურთის ისტორიას. მით უფრო, რომ ვლადიმერ ბარქაია ამ წერილში სრულიად ახლებურად აფასებს წარსულს წლების გადასახედიდან და, რაც მთავარია, თამამად საუბრობს პრობლემებზე. გვამცნობს მათი გადაჭრის მისეულ თვალთახედვას.

ეროვნული სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან დავუნიშნე შეხვედრა, ახალგაზრდობაში, მისი ცეცხლოვანი თამაში არაერთხელ მინახავს, მაგრამ ახლა ვეტერანი ფეხბურთელი წინასწარ ადწერილი ჩაცმულობით უნდა გამომერჩია. იქ მყოფთა შორის, ელეგანტურად გამოწყობილი, ახოვანი სპორტსმენის შეცნობა სრულიად არ გამჭირვებია. ერთმანეთს მივესალმეთ და ქართული ეროვნული ფეხბურთის მეფის, ბორის პაიჭაძის ბიუსტის სიახლოვეს გავაბით საუბარი.

ფეხბურთი არა მხოლოდ თამაში, კომერციაცაა...

ვლადიმერი გაგრაში დაიბადა და მთელი ბავშვობა იქ ბედნიერად გაატარა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის „ა“ კლასის გუნდების უმრავლესობა სეზონისათვის მზადებას აჭარასა და აფხაზეთში ატარებდა. 1945 წელს აფხაზეთს მოსკოვის „დინამო“ ეწვია და პატარა ვლადიმერზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თბილისის „დინამოსაც“ საწვრთნელი ბაზა სოფელ ლესელიძეში ჰქონდა. ვლადიმერი და მისი თანატოლები, საქვეყნოდ აღიარებული გუნდების საწვრთნელ ვარჯიშს გულისფანცქალით ადევნებდნენ თვალყურს და გამოჩენილ ფეხბურთელებს თამაშში ჰბაძავდნენ კიდეც. პატარა ბიჭებთან ერთად ფეხბურთის თამაშზე გოგონებიც არ ამბობდნენ უარს.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ბარქაია 1956 წელს მოხვდა. მოსკოვის „ტორპედოსთან“ შესარჩევ მატჩში, შესანიშნავ პარტნიორებთან ავთო ჭკუასელთან, ანდრო ზაზროევთან, ზაურ კალოევთან და სხვებთან ერთად, ვლადიმერმა მეტად საპასუხისმგებლო მატჩი დიდი შემართებით ჩაატარა და გოლიც გაიტანა. გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ პერსპექტიული ახალგაზრდა ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხა და 1957 წელს საერთაშორისო შეხვედრებში ბირმასა და ინდონეზიაში ათამაშა. „დინამოში“ სპორტსმენმა 1970 წლამდე დაჰყო. 10 წელი ფეხბურთელად, ბოლო ორი წელი მწვრთნელად. ვლადიმერმა მთელი ნიჭი და ენერგია საყვარელი გუნდის ღირსების დაცვას უშურველად, რაინდულად და დარბაისლურად შეალია.

წარსულში ნათამაშევი მატჩებიდან, ფეხბურთელმა განსაკუთრებით აღნიშნა 1960 წლის ფინალური მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ საბჭოთა კავშირის თასზე. „ეს თამაში „დინამოს“ მსაჯმა ცაპოვეცკიმ წააგებინა. მისი არაკორექტულობა და მიკერძოება იმდენად შესამჩნევი იყო, რომ მასზე მოსკოველი გულშემატკივრებიც ალაპარაკდნენ, – გაიხსენა ვლადიმერმა. დაუვიწყარია 1964 წლის ტაშკენტის მატჩიც, როცა ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ჩემი ფრთა სლავა მეტრეველი და ჟორა სიჭინავა იყვნენ. როგორც ყოველთვის, მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, ილია დათუნაშვილი მინდორზე ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ, „ოქროს მატჩის“ დაცვითი ხაზის კარიბჭის შეუვალი გუშაგი კი ჯემალ ზეინკლიშვილი იყო. იგი ადრე წინა ხაზზე თამაშობდა, მერე ნახევარდაცვაში. მაშინდელმა მწვრთნელმა კაჩალინმა ჯემალს ურჩია ცენტრალურ მცველად ეთამაშა. იგი არა მარტო თვითმყოფადი ფეხბურთელი, არამედ უნიჭიერესი ადამიანი იყო და დღევანდელ პირობებში ნამდვილად მილიონერი იქნებოდა. ჩვენს „დინამოსთან“ ყოველი გუნდი მთელი მონდომებითა და დაძაბულობით თამაშობდა. ერთ-ერთ მატჩში ზეინკლიშვილს ბუბუკინი უნდა „ჩაეკეტა“. ბუბუკინი საბჭოთა ნაკრების თვალსაჩინო წევრი იყო და მისი სახელი ფეხბურთის ელიტაში ქუხდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ბუბუკინს მაინც-დამაინც არ ეპიტნავა მოწინააღმდეგედ ზეინკლიშვილი რომ მიუჩინეს და გადაწყვიტა ჯემალისათვის სარმა გამოედო, მაგრამ ამ ფანდით ფეხი მასვე დაუზიანდა და მინდვრიდან საკაცით გაიტანეს. ზეინკლიშვილი 46 ნომერ ბუცს იცვამდა და მასთან შერკინება ყველას ეშინოდა.“

ვლადიმერ ბარქაიამ კიდევ ერთი ბუმბერაზი ფეხბურთელი, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე გაიხსენა. „1958 წელს თბილისის „დინამოს“ „ა“ კლასიდან გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა. ბასას თავგანწირული თამაში რომ არა, ეს საფრთხე რეალობად გადაიქცეოდა. იგი გუნდის ძრავა და ხერხემალი იყო. თანაკლუბელებისათვის გასაოცარ გულისხმიერებას იჩენდა. „დინამოში“ თამაშისას, გარკვეული ხნით მე და ოვა მარღანია საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. ღოღობერიძეს შესანიშნავი ბინა ჰქონდა, მაგრამ ხშირად ღამეს ჩვენთან ათევდა. იგი სიყვარულისა და სიკეთის განსახიერება იყო. და ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, დედამიწაზე ერთი განაწყენებული ადამიანიც არ დაუტოვებია“.

ადრინდელი თაობის გულშემატკივრებს დღესაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს ვლადიმერ ბარქაიას გააზრებული, აზარტული და ვირტუოზული თამაშების ფრაგმენტების გახსენება.

„ველზე იმიტომ როდი ვარ, რომ ვკრეფდე ვარდს და იასა, მოსკოვის გმირი მოვდივარ, დამიხვდით ბარქაიასა“.

ეს ლექსი ფეხბურთელს დიდი ხნის წინ მიუძღვნეს 1959 წლის სეზონში კარგი თამაშისათვის.

„იმ სეზონის წინ თბილისის „დინამოს“ რამდენიმე წელიწადი ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ დროულად გამოფხიზლდა და მესამე საპრიზო ადგილიც ავიღეთ. მალე გუნდს ოქროს ხანა დაუდგა, ჩემპიონები გავხდით და ძირეულად გავკაფეთ გზა ევროპული ფეხბურთის მწვერვალების დასალაშქრად. ნოდარ ახალკაცმა ჩვენს საძირკველზე ისეთი გუნდი შექმნა, რომელმაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასისათვის ბრძოლაში ბევრი მრისხანე მონინააღმდეგე ჩამოიცილა და ფინალში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „კარლ ცაისი“ დაამარცხა. ეს მოვლენა ქართული ეროვნული ფეხბურთის ტრიუმფული გამარჯვება იყო და მასში ნოდარ ახალკაცს ლომის წილი უდევს.

„კარლ ცაისთან“ წარმატებით ჩატარებულმა მატჩმა, მთელი საქართველო საყოველთაო ზეიმის არენად აქცია. თბილისის ქუჩებში გამოსული ზღვა ხალხის თვალებში სიამაყის ნაპერწკალი ელვარებდა“.

მაღალი კლასის გუნდის ჩამოყალიბებაში მწვრთნელს უპირველესი მისია აკისრია. ვლადიმერმა თავისი სპორტული კარიერა მიხეილ იაკუშინთან გაატარა. იაკუშინი, გუნდში მოსვლისთანავე ღრმად ჩასწვდა ქართული ფეხბურთის ფენომენს და ძალ-ღონე არ დაიშურა მისი განვითარებისა და აღორძინებისათვის. მწვრთნელი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გუნდში ვარსკვლავები მომრავლებულიყო და გუნდიც ვარსკვლავების შესაფერისი ყოფილიყო. ღმერთის წყალობით, თბილისის „დინამოს“ არც ერთ თაობას მოკაშკაშე ვარსკვლავები არ მოჰკლებია. „მიხეილ მესხი, რომელ ფლანგზეც თამაშობდა, სტადიონის ის ნაწილი მაყურებლებით სულ გადაჭედილი იყო, – გაიხსენა ვლადიმერმა, – გულშემატკივრები ასევე იქცეოდნენ პელეს, გარინჩასა და ფეხბურთის სხვა გრანდების თამაშის დროს. ამჟამად, ხშირად გერმანიაში სტუმრად ჩავდივარ და იქაური გუნდების თამაშით დიდად ნასიამოვნები ვრჩები. იქ ვერც ერთ ცნობილ გუნდს ვერ ნახავ, ფეხბურთის ვარსკვლავი რომ არ ჰყავდეს და მათი უმრავლესობა საზღვარგარეთიდანაა. რუსეთში, მოსკოვის „სპარტაკშიც“ ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი უკვე გამოჩნდა. როცა ეკონომიკური საფუძვლები გვექნება, საზღვარგარეთელი ფეხბურთელების საქართველოში მოზიდვაზე უარი არც ჩვენ უნდა ვთქვათ.

მე და ჟორა სიჭინავა, პატარა გაგრაში გაზრდილი ფეხბურთელები, საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1965 წელს ბრაზილიის ნაკრებს შევხვდით. მაშინ ბედმა სიჭინავას პელეს პირისპირ თამაში არგუნა. მატჩის შემდეგ მწვრთნელ ფეოლას ჰკითხეს, საბჭოთა ნაკრებიდან ვინ მოგეწონაო. აი, ის ფეხბურთელი, თამაშის მანერით ბრაზილიელს რომ ჰგავსო, – თქვა მან სიჭინავაზე. ახლო მომავალში, თბილისის „დინამოში“ უცხოელი ფეხბურთელები აუცილებლად გამოჩნდებიან. ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი კლიმატი, ისტორიული მემკვიდრეობა, სტუმართმოყვარეობა... ბევრ უცხოელს მოხიბლავს და მოიზიდავს. ამის დასტურია ის, რომ ბათუმის „დინამოში“ უკვე წვრთნას გადის აფრიკელი ფეხბურთელი. საქართველოში ფეხბურთელთა უნიჭიერესი პლეადა მოდის და მათ დაოსტატებაზეც დროულად უნდა ვიზრუნოთ. თუ მათ დავაუკაცებას სპორტში აქ ვერ შევძლებთ, მაშინ ისინი საზღვარგარეთის გუნდებში უნდა გავუშვათ. ალექსანდრე იაშვილი, თბილისის „დინამოში“ რომ თამაშობდა, ნორჩი ფეხბურთელივით გამოიყურებოდა. გერმანიის გუნდში ორი სეზონის თამაშის შემდეგ იგი ისე დაკაცდა, რომ გერმანელი მაყურებლები გააოცა. შტუტგარტთან თამაშში იაშვილი რომ ვნახე, განცვიფრებული დავრჩი. უნდა გენახა, გერმანული პრესა იაშვილის ქებით როგორ იყო აჭრელებული. ალექსანდრე გერმანიაში რომ არ წასულიყო, შესაძლოა, როგორც ფეხბურთელი, დაკარგულიყო კიდეც.

ავილოთ დემეტრაძე. ისიც ხომ ნამდვილი ფეხბურთელი საზღვარგარეთის გუნდების წყალობით გახდა. ერთ-ერთმა გამოჩენილმა და ნიჭიერმა მწვრთნელმა ლობანოვსკიმ, შევჩენკოს, როცა იგი საზღვარგარეთ სათამაშოდ წასვლას აპირებდა, ურჩია: ყოველგვარ პირობებს აქ შეგიქმნი და ვიდრე გარკვეულ სიმაღლეზე არ ახვალ, უკრაინას ნუ დატოვებო. მწვრთნელმა შეგირდს დანაპირები შეუსრულა და ახლა შევჩენკოში საზღვარგარეთის კლუბები მილიონებს იძლევიან. ფეხბურთი მხოლოდ თამაში კი არა, კომერციაცაა და ყველა ფეხბურთელი იქით მიისწრაფვის, სადაც მეტ თანხას შესთავაზებენ. დღეს, თბილისის „დინამოში“ თამაში იმიტომ უნდათ, რომ ამ საფეხურიდან საზღვარგარეთის გუნდებში გადასვლა ადვილად შეძლონ. მდიდარი საფეხბურთო კლუბები ჩვენც თუ გვეყოლება, არა მგონია, ქართველ ფეხბურთელთა უმარვლესობამ გუდა-ნაბადი აიკრას საზღვარგარეთ გადასახვეწად“.

ვეტერანი ფეხბურთელის გულისტკივილი ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა გაითავისოს და ყველაზე მეტად მათ, ვისაც ეროვნული ფეხბურთის გამოცოცხლება ევალებათ. ბოლო წლებში, საქართველოში საფეხბურთო ჩემპიონატები ისე უღიმღამოდ მიმდინარეობს, რომ არც კი იგრძნობა ქვეყანაში სპორტის ამ უმშვენიერესი სახეობით გამოწვეული ჩვეული მღელვარება. ქართულ ფეხბურთს მართლაც მძიმე პერიოდი დაუდგა. მოძველებული სტადიონები, რომელთა მსგავსს მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ, დიდოსტატ ფეხბურთელთა ჯადოსნური თამაშით აღფრთოვანებული მაყურებლების დაბრუნებას ელოდება.

ამ თამაშს ისეთი ღვთაებრივი ხიბლი აქვს, რომ იგი არასოდეს გადაშენდება. პატარა ბავშვისათვის ბურთი, რომელსაც ჩვენი პლანეტის ფორმა აქვს, მშობლიურ ენასავით განუყოფელი და ძვირფასია. ნორჩ ახალბედებს შესაბამისი მწვრთნელები ესაჭიროებათ. „ჩვენ შესანიშნავი მწვრთნელები გვყავს, – აღნიშნავს ვლადიმერ ბარქაია, – აი თუნდაც რეზო გაგუა, ფეხბურთზე საოცრად შეყვარებული ადამიანი. იგი დღეს და ღამეს ბავშვებთან და ბურთთან ატარებს. მას გულის ოპერაციაც კი გაუკეთეს, მაგრამ მწვრთნელობაზე ხელი არ აუღია. გეგეჭკორი, სულაქველიძე, შენგელია, კოპალეიშვილი და სხვები ნორჩებს ფეხბურთის თამაშში აოსტატებენ. მჯერა, ახლო მომავალში ქართული ფეხბურთი აუცილებლად აღორძინდება და გულშემატკივრებს არაერთ სიამოვნებას განაცდევინებს.“

მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური და იურიდიული განათლება მიიღო და დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ვლადიმერი წარმატებით მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. თავდაპირველად, ფაბრიკაში ეკონომისტობა დაიწყო. იქ თურმე ვლადიმერს თანამშრომლები სულ ფეხბურთზე ესაუბრებოდნენ. ეს ფაბრიკის დირექტორს შეუნიშნავს და მისთვის ხუმრობით უთქვამს, სამსახურში ნუ მოხვალ და ხელფასს ისე მოგცემო. იყო აბრეშუმის ფაბრიკის იურისტ-კონსულტანტი; ლესელიძის „პანსიონატ სპორტის“ დირექტორი; სანატორიუმ „თბილისის“ მთავარი ექიმის მოადგილე სამეურნეო დარგში; გაგრის მაცივრის დირექტორი; საქართველოს მინისტრთა საბჭოს ინსტრუქტორი თბილისში; საქართველოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსი; ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე – აი, ის ძირითადი თანამდებობრივი საფეხურები, რომელიც ვლადიმერმა წესიერი, საქმიანი, ინიციატივიანი, პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ადამიანის სახელით გაიარა.

ვლადიმერ ბარქაიასთან შეხვედრაზე დავრწმუნდი, როგორი მორიდებით საუბრობდა იგი საკუთარ თავზე და როგორი სიყვარულით ცდილობდა თანაგუნდელებისა და თანამოაზრეების წარმოჩენას. ეს ხომ დიდბუნებოვანი ადამიანის თვისებაა.

ჩვენი შეხვედრა დასასრულს მიუახლოვდა. დიქტოფონი გამოვრთე, რესპოდენტს დავემშვიდობე, ბორისის ბიუსტს ერთხელ კიდევ შევავლე თვალი და სტადიონიდან ნორჩ ფეხბურთელთა ჟრიამული გამომყვა. ქართული ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები, ოცდამეერთე საუკუნის ქართული ფეხბურთის მართველები მწვერვალებისკენ იმზირებოდნენ...

ელგუჯა კეკელიძე

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ბლატერის ახალი იდეა: მსოფლიო ჩემპიონატი მსოფლიო ჩემპიონებს შორის



ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს სულ ახალახალი იდეები ებადება. ჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ ჩატარება, რასაც საკმაოდ ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ — ორი მთავარი მსჯელის გამოყენების იდეა (არც ეს წინადადება სარგებლობს დიდი წარმატებით), მერე — ყველა ეროვნული ჩემპიონატის ერთსა და იმავე ვადაში ჩატარება.

ახლა ბლატერმა ახალი, საინტერესო წინადადება წამოაყენა: მოეწყოს მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონები მიიღებენ მონაწილეობას. ბლატერის იდეის თანახმად, შეჯიბრებაში ჩაებმება ის 7 ნაკრები, რომლებმაც სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონატებში გაიმარჯვეს: ბრაზილია (მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი), იტალია (3), გერმანია (3), ურუგვაი (2), არგენტინა (2), ინგლისი (1) და საფრანგეთი (1). მათ შეუერთდება ის ნაკრები, რომელიც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონი გახდება და შეჯიბრების ორგანიზატორი ქვეყნის გუნდი. ეს ჩემპიონატი 2004 წლის ოქტომბერში მოეწყობა.

ამ მართლაც მეტად საინტერესო ჩემპიონატის მოწყობა სურთ ესპანეთს, პორტუგალიას, ავსტრიასა და უნგრეთს. ეტყობა, ყველაზე მთავარ კანდიდატად მაინც ესპანეთი უნდა ჩაითვალოს.

უახლოეს ხანებში ბლატერი თავის პროექტს ფიფას აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს, რომელიც თავის საბოლოო დასკვნას გამოიტანს. როგორც ცნობილი გახდა, ფიფას უკვე ჰქონდა კონსულტაციები ევროპის წამყვანი კლუბების ხელმძღვანელობებთან ფეხბურთელების ნაკრებში გაგზავნის შესახებ და დადებითი პასუხიც მიიღო.

იმუქრებან, რომ „რეალს“ მოუვლის

ის, რომ მადრიდის „რეალი“ ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა და ქვეყნის პირველობაშიც სუსტი შედეგები აქვს, კლუბის ხელმძღვანელობის დიდ შეშფოთებას იწვევს. შეიძლება ისე წარიმართოს საქმე, რომ სახელოვანი კლუბი ჩემპიონთა ლიგის მორიგი გათამაშების მიღმა დარჩეს. ამასთან დაკავშირებით, „რეალის“ პრეზიდენტი ლანსი და მწვრთნელი ტოშაკი უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ეძებენ მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. მომომხილველების სიტყვით, დაისვა ორი საკითხი: „ვინ არის დამნაშავე?“ და „რა ვაკეთოთ?“ პირველ კითხვას ადვილად გაეცა პასუხი: „დამნაშავე ყველა!“ ახლა კი მთავარი: „რა ვაკეთოთ?

ჯონ ტოშაკს სრული თავისუფლება მიენიჭა: გააკეთოს, რაც სურს. პირველად ის მოიმოქმედა, რომ ვიგოს „სელტასთან“ (რომლის მთელი მოსახლეობა „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონის ნახევარს თუ შეავსებს!) სამარცხვინო წაგების შემდეგ (1-5!) აღდგენითი ვარჯიშის ნაცვლად მოთამაშეების დასჯის მიზნით სრული პროგრამით მეცადინეობა დანიშნა. მთავარი ცნობა კი მუქარით აღსავსე იყო: კლუბის ხელმძღვანელობა სეზონის დამთავრების შემდეგ გაყიდის... ნებისმიერ მოთამაშეს. ისე რომ, სამეფო კლუბში „შეუცვლელი მოთამაშეები“ უკვე აღარ არიან. პირველ რიგში საფრთხე ემუქრებათ პრედრაგ მიატოვიჩს, დავორ შუკერს (რომელსაც არც აქამდე სწყალობდნენ), კლარენს ზეედორფს, კრისტიან პანუჩის, რობერტ იარნის. კარგ დღეში არც ივან კამპო, აიტოს კარანკა და კრისტიან კარამბე იქნებიან.

„რეალის“ მიერ გამოცხადებულმა გუნდის ძირფესვიანად შეცვლის პროგრამა სხვა კლუბები დააინტერესა. ასე, მაგალითად, „ბარსელონა“ სულაც არ იქნებოდა წინააღმდეგი იაფად შეეძინა ზეედორფი ეს მაშინ, რომ ოფიციალური კონტრაქტის ძალით იგი „რეალში“ 2003 წლამდე უნდა დარჩენილიყო, თუ ვინმე დაარღვევდა ამ ხელშეკრულებას და მაინც ზეედორფის შეძენას მოისურვებდა, დიახ, ბატონო, მაგრამ მაინც 150 (!) მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. ამ თანხას, და თუ გნებავთ, არც მის მეათედს ზეედორფში ახლა არავინ მისცემს.

ბევრ მოთამაშეს კი დაითხოვს, მაგრამ, რა თქმა უნდა „რეალი“ ბევრის მიწვევასაც აპირებს. ზოგი სახელი უკვე გამოჩნდა. პირველ ჯერ ლისა ესენი არიან მცველი მიჩელ სალგადო და ისრაელის ნაკრების თავდამსხმელი ხაიმე რევივო, რომლებიც დიდი წარმატებით გამოდიან ვიგოს „სელტაში“. პატარა ქალაქის კლუბი მათში დიდ თანხას მიიღებს, მაგრამ არ იცის, „რეალს“ მიანიჭოს უპირატესობა თუ „ბარსელონას“, რომელსაც ასევე სურს სალგადოსა და რევივოს შეძენა. ასახელებენ აგრეთვე კამერუნის ნაკრების ნახევარმცველს, 21 წლის ჟერომი ნიუტაპს, რომელიც ახლა თურქეთში გამოდის.

თავისთავად ცხადია, ესპანეთის ჩემპიონობა „რეალისათვის“ ამ სეზონში მიუღწეველი ოცნებაა, მაგრამ სამაგიეროდ მას შეუძლია მოხვდეს ჩემპიონთა ლიგაში (აქ ახალი დებულებით ოთხი ესპანური კლუბი გამოვა) და მოიპოვოს ესპანეთის თასი. საამისოდ მან ივნისში „ვალენსია“ უნდა დამარცხოს.

ევროვნული ჩემპიონატები

ინგლისი ● XXXIV ტური

ჩარლტონი — ლიდსი 1-1, ქოვენთრი — მიდლსბრო 1-2, ლივერპული — ასტონ ვილა 0-1, მანჩესტერ იუნაიტედი — შეფილდ უენსდეი 3-0, ნიუკასლი — ევერტონი 1-3, ნოტინგემი — ტოტენჰემი 0-1, საუთჰემპტონი — ბლეკბერნი 3-3, ვესტ ჰემი — დერბი 5-1, ჩელსი — ლუტერი 2-2.

ლიდერობენ: მანჩესტერი (67), ჩელსი (64), არსენალი (63), ნიუკასლი 42 ქულით 11 ადგილზეა.

გერმანია ● XXVI ტური

ფრაიბურგი — შალკე 0-2 (ფრაიბურგმა ბედიზედ მეხუთედ წააგო), ბაიერნი — ეინტრახტი 3-1, ჰამბურგი — დორტმუნდი 0-0, ბოხუმი — შტუტგარტი 3-3, ჰანზა — კაიზერსლაუტერნი 2-1, ბაიერი — გლადბახი 4-1, ნიურნბერგი — ჰერტა 0-0, დუისბურგი — ვერდერი 2-0, ვოლფსბურგი — მიუნხენ-1860 1-0.

ლიდერობენ: ბაიერნი (64), ბაიერი (54), კაიზერსლაუტერნი (48), ფრაიბურგი 27 ქულით მე-15 ადგილზე.

იტალია ● XXIX ტური

ლაციო — იუვენტუსი 1-3, უდინეზე — მილანი 1-5, ბოლონია — ფიორენტინა 3-0, ემპოლი — პიაჩენცა 1-2, პერუჯა — რომა 3-2, ბარი — სალერნიტანა 0-0, ვენეცია — კალიარი 1-0, ინტერი — ვიჩენცა 1-1, პარმა — სამპდორია 1-1.

ლიდერობენ: ლაციო (56), მილანი (55), ფიორენტინა (51), პარმა (49).

ესპანეთი ● XXX ტური

ბარსელონა — მალიორკა 2-1, რეალი — ვალენსია 3-1, ატლეტიკი — ტენერიფე 2-0, ბეტისი — ოვიედო 5-0, ვალიადოლიდი — ატლეტიკო 1-0, რასინგი — ესპანიოლი 0-2, სელტა-ალავესი 1-1, ესტრემადურა — სალამანკა 1-1, ვილიარეალი — დეპორტივო 1-2, სარაგოსა — სოსიედადი 1-1

ლიდერობენ: ბარსელონა (62), სელტა (53), რეალი (52).

ჰოლანდია ● XXVIII ტური

აიაქსი — სიტარდი 1-3, ბრედა — ფეიენოორდი 0-1, ვიტესი — ჰერენვენი 1-2. ალკმაარი — გრაფშაფი 1-3, ტვენტე —კამბური 0-0, მასტრიხტი — სპარტა 1-1, უტრეხტი — ვაალვაიკი 1-1, ეინდჰოვენი — ნაიმეგენი 2-0.

ლიდერობენ: ფეიენოორდი (70), ვიტესი (54), ეინდჰოვენი (53), აიაქსი 44 ქულით მე-8 ადგილზეა, ხოლო ბრედა 16 ქულით — ბოლოზე.

შვეიცარია, ფინალური ეტაპის VII ტური

ლოზანა — გრასჰოპერსი 2-3 (სტუმართაგან ერთი ბურთი მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა), ციურიხი — ლუცერნი 3-0, ქსამაქსი — სერვეტი 0-3, ბაზელი — სენტ-გალენი 3-3.

ლიდერობენ: სერვეტი (35), ლოზანა (34), გრასჰოპერსი (33), გოჩა ჯამარაულის ციურიხი 24 ქულით მეხუთე ადგილზეა.

პორტუგალია ● XXVIII ტური

ფარენსე — ბეირა მარე 2-1, გიმარაეში — ამადორა 3-0, ალვერკა — სპორტინგი 3-2, ბრაგა — ბენფიკა 2-1, ბოავიშტა — აკადემიკა 3-1, პორტო — კამპომაიორენსე 2-0, სალგეირეში — სეტუბალი 1-0, მარიტიმუ — რიუ ავე 2-0, ლეირია — შავეში 3-1.

ლიდერობენ: პორტო (65), ბოავიშტა (60), ბენფიკა (56).

ბელგია ● XXIX ტური

გენკი-ბრიუკე 1-1, ოსტენდე — ლომელი 1-1, კორტრაიკი — ვესტერლო 4-2, მენტი-ეკერენი 1-3, შარლერუა — მუსკრონი 1-3, აალსტი — ბევერნი 0-1, ლოკერენი — ჰარელბეკი 1-0, ლიერსი — ანდერლეხტი 0-0, სტანდარდი — სენტ-ტრიუდენი 2-0.

ლიდერობენ: გენკი (61), ბრიუგე (59), ანდერლეხტი (55), გელა შეყილაძის ლიერსი კი 45 ქულით მე-9 ადგილზეა.

რუსეთი ● III ტური

სპარტაკი — შინიკი 4-1, ცსკა — ურალანი 2-0, ტორპედო — დინამო 0-1, ლოკომოტივი (ნ. ნოვგოროდი) — ლოკომოტივი (მოსკოვი) 0-0 (მინდვრიდან გააძევეს ზაზა ჯანაშია), სატურნი — ჟემჩუჟინა 3-1 (გააფრთხილეს გოჩა გოგრიჭიანი), ზენიტი — ჩერნომორეცი 1-1, როტორი — ალანია 0-2 (მეორე გოლი გაიტანა გიორგი დემეტრაძემ), როსტსელმაში — კრილია სოვეტოვი 2-1 (გააფრთხილეს ზურაბ ფოფხაძე).

ლიდერობენ: სპარტაკი (12), დინამო (9), სატურნი (7)

შოტლანდია ● XXXI ტური

დანდი — რეინჯერსი 1-1, სელტიკი - მოზერველი 1-0, აბერდინი — დანდი იუნაიტედი 0-4, დანფერლაინი — კილმარნოკი 0-6, სენტ-ჯონსტონი — ჰართსი 0-0.

ლიდერობენ: რეინჯერსი (66), სელტიკი (62), კილმარნოკი (53)

მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის (მეოთხედფინალები)

ნიგერია-მალი 1-3, ბრაზილია — ურუგვაი 1-2, იაპონია-მექსიკა 2-0, ესპანეთი— განა 1-1 (პენალტების სერიით 8-7).

ფული გქონდეს და წამალს ვერ ყიდულობდე?!

ფული, შემსრულებლები, ცნობილი მწვრთნელი... ვინ არ დაასიეს საფრანგეთის ყველაზე მდიდარ კლუბს, მაგრამ არაფერმა, არანაირმა „დოხტურებმა“ ვერ უწამლეს „პარი სენ ჟერმენს“, სახელოვან გუნდს, რომელიც ახლა საფრანგეთის პირველი დივიზიონის აუტსაიდერებში ყურყუტებს.

ამ სეზონში პსჟ-მ ორჯერ მოასწრო მთავარი მწვრთნელის გამოცვლა. გუნდს ჯერ ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი ალან ჟერესი წვრთნიდა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატში უფერული სტარტის გამო ის სახელგანთქმული პორტუგალიელი სპეციალისტით არტურ ჟორჟეთი შეცვალეს. თუმცა არც პირნეიელს ეწერა დიდი დღე პსჟ-ში და მარტის შუა რიცხვებში გუნდს ახალი მწვრთნელი გამოუჩნდა — ფილიპ ბერუერო. მაგრამ სახელოვანი ფრანგული კლუბი მხოლოდ მწვრთნელთა ცვლით როდი შემოიფარგლა და შარშან, დეკემბერში კლუბის პრეზიდენტს შარლ ბიეტრისაც მოუხდა თანამდებობიდან წასვლა, რომლის მემკვიდრე როლან პერპერი გახდა. სწორედ ახალმა პრეზიდენტმა აითვალისწუნა არტურ ჟორჟე და ასპარეზი ფილიპ ბერჟეროს გადაულოცა. პორტუგალიელმა სპეციალისტმა კი გაპანღურებას ასეთი კომენტარი დაურთო: „ჩემი გადმობირებისათვის პსჟ-ს ხუთკაციანი დელეგაცია მეწვია, ისინი უმორჩილესად მთხოვდნენ დავხმარებოდი გუნდის ფეხზე წამოდგომაში. პსჟ-ში საკმაოდ კარგ გასამჯელოსაც მიხდიდნენ და მერე უცბად, რამდენიმე თვეში კარისაკენ მიმითითეს. მოკლედ, ვერაფერი გამიგია“.

ისე, არც ფილიპ ბერჟეროა ხელწამოსაკრავი პერსონა. ის თავის დროზე საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კარს იცავდა, ხოლო „საფრანგეთი-98“-ზე ემე ჟაკეს თანაშემწედ მუშაობდა. პსჟ-ში კი ამ სეზონში მივიდა ალან ჟერერის ასისტენტად, რათა ძირითადად მეკარეთა მოსამზადებლად ემუშავა. ფილიპ ბერჟეროს მთავარ მწვრთნელად გამწესებით „პარი სენ ჟერმენმა“ საკმაო თანხა დაზოგა, რადგან გამოცდილი და ცნობილი სპეციალისტის მიწვევა გაცილებით ძვირი დაუჯდებოდა. თანაც ბერჟეროს მხოლოდ ერთადერთი ამოცანა დაუსახა კლუბის ხელმძღვანელობამ — პსჟ პირველი დივიზიონიდან არ უნდა გავარდეს, სხვა ამბიციები გუნდს უბრალოდ არ გააჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ ახლა უკვე გაცხადდა პსჟ-ს კრიზისის მთავარი მიზეზი. ფრანგული პრესა ერთსულოვანია და თვლის, რომ ამ სეზონის დამდეგს კლუბის პრეზიდენტის პოსტიდან მიშელ დენიზას წასვლამ გუნდის უკუსვლა დააჩქარა. დაღმასვლა „პარი სენ ჟერმენს“ წინა სეზონიდან დაეწყო, როცა მერვე ადგილით ჩაამთავრა საფრანგეთის ჩემპიონატი, მაგრამ ღირდა კი ამის გამო მიშელ დენიზოს გადადგომა? ის ხომ შვიდ წელიწადს პრეზიდენტობდა გუნდს და შთამბეჭდავი წარმატებებიც ჰქონდა — პსჟ-ს ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა, გუნდი გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, თასის მფლობელი, ევროტურნირებში თითქმის ყოველთვის ნახევარფინალამდე აღწევდა, ხოლო 1996 წელს თასების თასიც კი მოიპოვა, საგრძნობლად გაიზარდა გუნდის ავტორიტეტი ევროპაში, მაგრამ ერთი ჩავარდნაც არ აპატიეს მიშელ დენიზას. ხოლო მისი შემცვლელი შარლ ბიეტრი არაკომპეტენტური აღმოჩნდა კლუბის პრეზიდენტობისთვის. მან პირველ რიგში ის გააკეთა, რომ გუნდს „ძველი გვარდია“ ჩამოაშორა — ალან როში, ვერსენ გერენი, პოლ ლე გუენი, ლორან ფურნიე. ლეგიონერები კი ისეთები მიიწვია, რომლებმაც ვერ გაამართლეს. ეს განსაკუთრებით ნიგერიელ ფლეიმეიკერ ავგუსტინ ჯეი-ჯეი ოკოჩას ეხება, რომელიც ერთი-ორჯერ თუ წაიჯამბაზებს ფინტებით. ვერც „ლევერკუზენიდან“ ნაყიდი გერმანიის ეროვნული გუნდის მცველი კრისტიან ვიორნსი შეეწყო უმდიდრეს ფრანგულ კლუბს, ხოლო „ალანიიდან“ შეძენილი იგორ იანოვსკი, ასე თუ ისე, ამართლებს იმედებს. ერთადერთი ახალწვეული, რომელიც პსჟ-მ უკვე ლორან პერპერის პრეზიდენტობისას შეიძინა და რომელიც ნაღდად დიდად გამოადგა კლუბს, თავდამსხმელი ბრუნო როდრიგესია. მაგრამ ნამდვილი ლიდერი „პარი სენ ჟერმენს“ ვერა და ვერ გამოუჩნდა. ამას ერთი პირობა ჰაშიშის მოყვარული მეკარე ბერნარ ლამა ცდილობდა, საჯარიმო მოედნიდან ომახიანად გაჰყვიროდა კიდეც თანაგუნდელებს, მაგრამ ეტყობა ნირი მალე წაუხდა და მოეშვა. შემდეგ ყველა იტალიელ მარკო სიმანეს შეჰყურებდა, მაგრამ ვერა, ვერ გამოდგა ექსმილანელი ის კაცი, ვინც გუნდს ულიდერებდა. ასე რომ, გზა ხსნისა პსჟ-სთვის ჯერჯერობით არ მოსჩანს, ის გზა, რომელიც ძველ დიდებას დაუბრუნებს კლუბს: თუმცა, ამაზე ალბათ მომავალი სეზონიდან იზრუნებენ, რადგან პსჟ-ს ხაზინაში კიდევ არის დოვლათი, ოღონდ თუ პარიზელები პირველი დივიზიონიდან გავარდნას გადაურჩებიან.

1998-99 წლების სეზონში პსჟ იმის ბრწყინვალე მაგალითად მოგვევლინა, რომ გუნდი სათუთი მექანიზმია და მხოლოდ ფული, თუ საქმეს პროფესიონალები არ უძღვებიან, ფუჭია.

„გულშემატკივრები ბევრს გვისტვენენ“

მადრიდის „ატლეტიკოს“ ახლახან დანიშნულმა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კლუბის გულშემატკივრებს არავითარი მოთმინება არა აქვთ და ფეხბურთელებს დიდი სტვენა აუტეხეს უეფას თასის ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ. ეს მაშინ, როცა გუნდს გარკვეული დრო სჭირდება თამაშის სტაბილიზაციის მისაღწევად, შემდეგ კი მას მოსთხოვონ კიდეც, ახლა კი სჯობს დააცადონ.

ხიდეტოსი ნაკატას ვინ დათმობს

იტალიური პრესა იაპონელ ოსტატ ხიდეტოსი ნაკატას დიდი წარმატებით თამაშს „პერუჯაში“, რამდენადმე მოულოდნელს, მაგრამ სრულიად დამსახურებულს უწოდებს. ისიც ვთქვათ, რომ იაპონელი „სერია A“-ში სულ პირველი წელია, რაც თამაშობს.

რახან ნაკატას დაუფლება ახლა ბევრ წამყვან კლუბს სურს, „პერუჯას“ პრეზიდენტმა სანდრო გაუჩიმ გადაწყვიტა ყველას გზა გადაუჭრას. მან განაცხადა, რომ, ვისაც ნაკატას ყიდვა სურს უნდა გადაიხადოს... 60 მილიონი დოლარი!

ჭადრაკი მართლაც გასაოცარი შედეგები

კვირას დამთავრდა დოს-ერმანასის სუპერტურნირი თანამედროვეობის 10 წამყვანი დიდოსტატის მონაწილეობით. ეს მესამე წლევანდელი სუპერტურნირი იყო ვეიკ-ან-ზეესა და ლინარესის შემდეგ, შედეგები კი პირდაპირ გასაოცარი...

პირველ ორ სუპერტურნირში, როგორც ცნობილია, გარი კასპაროვმა გაიმარჯვა, მეორე ადგილზე კი ორივე შემთხვევაში ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) გავიდა. ამჯერად ანანდმა, თავის უკვე საკმაოდ ხანგრძლივ საჭადრაკო კარიერაში პირველად, გაიყო ბოლო... ადგილები! მან ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო, ორი წააგო, 7 ყაიმით დაასრულა და სულ 3,5 ქულით 9 შესაძლებლიდან (!) პეტრე სვიდლერსა და იუდით პოლგართან ერთად მერვე-მეათე ადგილები დაიკავა. მართლაცდა, რა არ ხდება საჭადრაკო ტურნირებზე!

6 ქულით პირველ ადგილზეა ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი, რომელმაც 3 პარტია მოიგო და დანარჩენი 6 ყაიმით დაასრულა. ცხადია, ბრწყინვალე გამარჯვება! გავიხსენოთ, რომ ლინარესში ადამსი ერთხანს პირველ ადგილზე იყო, მაგრამ შემდეგ მისი საქმეები ნელ-ნელა უარესად წავიდა, ბოლოს ინგლისელი სატურნირო ცხრილის ბოლოში აღმოჩნდა. ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

5,5 ქულით, ასევე დაუმარცხებლად, მეორე ადგილი ვლადიმირ კრამნიკმა დაიკავა. 5-5 ქულით დაასრულა შეჯიბრება ასევე დაუმარცხებლად (1 მოგება და 8 ყაიმი) ვესელინ ტოპალოვმა (ბულგარეთი) და, რაც ძალიან მოულოდნელია, ესპანელმა მიგელ ილესკასმა. 4,5-4,5 ქულა აქვთ მსოფლიო ჩემპიონს ფიდეს ვიჩსიით ანატოლი კარპოვსა და ბორის გელფანდს (ისრაელი). 4 ქულით დაასრულა შეჯიბრება ვიქტორ კორჩნოიმ (შვეიცარია), ბოლო სამ ადგილზე კი უკვე ითქვა.

მძლეოსნობა

ძმისგან მიღებული მემკვიდრეობა

უკვე მეთოთხმეტედ ჩატარდა „ქვიშის მარათონი"-220-კილომეტრიანი გარბენა სახარის უდაბნოში და იგი მაროკოელ ლახსენ აჯანზალის გამარჯვებით დასრულდა.

შეჯიბრებაში 600, ძირითადად ევროპული ქვეყნების, სტაიერი მონაწილეობდა. ისინი 6 დღის განმავლობაში ცდილობდნენ ამ ურთულესი მარშრუტის დაფარვას. გამარჯვებულის შედეგია 17:14,51. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს იტალიელებმა ფაბრიციო ბერნაბეიმ და მარკო ოლმომ.

საინტერესოა, რომ შარშან „ქვიშის მარათონში" გაიმარჯვა ლახსენ ახანზალის უფროსმა ძმამ, რომელიც წლევანდელ შეჯიბრებაში აღარ მონაწილეობდა.

სიდნეიში 5 «ოქროს» მოიპოვებს?

როგორც ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, 1998 წლის საუკეთესო მძლეოსან მერიონ ჯონსს 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე უბრწყინვალესი პერსპექტივები ექმნება: მან შეიძლება ერთბაშად 5 ოქროს მედალი მოიპოვოს: 100 და 200 მეტრზე რბენაში, ესტაფეტაში 4X100, 4X400 მეტრზე და სიგრძეზე ხტომაში.

ისტორიაში შესვლის შესაძლებლობა მერიონ ჯონსს მას შემდეგ მიეცა, რაც ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მოახდინა მძლეოსანთა შეჯიბრებების კორექტირება. კომიტეტმა გაითვალისწინა ატლანტის ოლიმპიადაზე მაიკლ ჯონსონის დავა ორგანიზატორებთან, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა ორ დისტანციაზე ერბინა — 200 და 400 მეტრზე.

აქამდე არა ყოფილა შემთხვევა, რომ ოლიმპიადებზე რომელიმე მძლეოსან ქალს 5 ოქროს მედალი მიეღოს. დღეისათვის რეკორდი ეკუთვნის ჰოლანდიელ ფანი ბლანკერს-კოენს, რომელმაც 1948 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე 4 ოქროს მედალი მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონატი 100 კილომეტრზე რბენაში

15 მაისს საფრანგეთში უნდა ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატი 100 კილომეტრზე რბენაში. მანამდე კი მძლეოსნები საკუთარი ქვეყნების ჩემპიონატებში სცდიან ძალას.

გერმანიის ჩემპიონობა, ისევე, როგორც შარშან, კვლავ რაინერ მიულერმა მოიპოვა. მისი შედეგი 6:26,56 მსოფლიოში საუკეთესოა ამ სეზონში. მეორე ადგილზეა ფოლკერ კრაგინსკი — 6:43,19, მესამეზე — მიხაელ ზომერი — 6:52,34.

ქალთა შორის გერმანიის ჩემპიონობა შეინარჩუნა ტანია შეფერმა — 7:38,10.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

20 აპრილი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. სუპერმატჩი (21.00). *იბერია.* ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), *კავკასია.* „ვარსკვლავები" (21.00), *საქართველოს ხმა.* ფეხბურთი მსოფლიო სტადიონებზე (12.15, 19.45), უეფას თასი (23.30). *HTB პლუს ფუთბალ.* ესპანეთის ჩემპიონატი (13.15), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), ინგლისის ჩემპიონატი: „არსენალი" – „უიმბლდონი" (17.00), 19.15, 0.45 – ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა. იტალიის ჩემპიონატი (20.10), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.00, 1.40). *ESPN.* ბოსტონის მარათონი (6.30), ფეხბურთი პოლანდიიდან „ფეიენოორდი" – „ნაკ"-ი (14.30). ინგლისის პრემიერ ლიგის მიმოხილვა (18.00), 18.30 – „უიმბლდონი" – „არსენალი", 21.30 – ინგლისის პრემიერ-ლიგის მიმოხილვა. *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროოლიები (21.00), უეფას თასი. ნახევარფინალები (2.00).

21 აპრილი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ნახევარფინალის გამეორებითი მატჩი: „ბაიერნი" (მიუნხენი) – „დინამო" (კიევი). 23.45. პირდაპირი რეპორტაჟი HTB-დან. *იბერია.* ბურთი და მოედანი (9.10, 19.25), *კავკასია.* „ვარსკვლავები" (21.00), *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (19.45). ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: „ბაიერნი" (მიუნხენი) – „დინამო" (კიევი), 1.35 – ჩემპიონთა ლიგა, ნახევარფინალი: „იუვენტუსი" (იტალია) – „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი). *ევროკა.* „სტუმარი" (21.00). *HTB.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: „ბავარია" (მიუნხენი) – „დინამო" (კიევი) (23.35). ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვა (2.25). *HTB პლუს ფუთბალ.* ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (13.10), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.20), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.45). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.55), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები". ეუსებიო (22.45), ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩების წინ (23.05), 23.35 – „ბავარია" (მიუნხენი) – „დინამო" (კიევი), 1.35 – „იუვენტუსი" (იტალია) – „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი). *ESPN.* კალათბურთი. ნბა (4.00, 18.30), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგის მიმოხილვა (16.30). უეფა. ჩემპიონთა ლიგა: ნახევარფინალების ტრანსლაცია (22.30, 0.45). *EUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონტი ახალგაზრდებს შორის, ნიგერიიდან (20.30, 23.30).

22 აპრილი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. იბერია. ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), *კავკასია.* „ვარსკვლავები" (21.00). *HTB პლუს ფუთბალ.* ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია" (მიუნხენი) – „დინამო" (კიევი) – 15.30, „იუვენტუსი" (იტალია) – „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) – 19.20. ჰოლანდიის ჩემპიონატი (17.00). ევროპის საფეხბურთო ლიგა (21.15), შოტლანდიის ჩემპიონატი (23.20). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.05). *ESPN.* ფეხბურთი. „ფეიენოორდი" – „ნაკ"-ი (11.00), ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა (13.00). საფეხბურთო (ევროპა) მიმოხილვა (15.30), უეფა. ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალური მატჩების მიმოხილვა (16.30, 18.30). *EUROSPORT.* ბოსტონის მარათონი (12.00), ფეხბურთი. თასების მფლობელთა თასზე (1.30).

„ჯოჯო-ლოჯო" – მილიონთა თამაში!

18 აპრილს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეთხუთმეტე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

9. 13. 17. 21. 26. 33.

3 ციფრი – 1.10 ლარი.
4 ციფრი – 8.80 ლარი.
5 ციფრი – 271 ლარი –

საწყისი „ჯეკ-პოტი" 30 000 ლარი.

გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

ამ ტირაჟზე ჯეკ-პოტი 46 785 ლარი გათამაშდა, რომელიც მოიგო თბილისელმა ლატარიის მოყვარულმა.

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **6. 0. 9. 3. 7. 9. 8.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 25 აპრილს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი 98"-ის და „ოლიმპი"-ს მოუგებელ ბილეთებზე. ფულადი და ნივთობრივი მოგებები წოლად ხვდათ: ლატარია „ოლიმპ"-ში — ლია კიკვიძეს (თბილისი) — მიჭერი, ბილეთის №060602, ნელი ქართველიშვილს (თბილისი) — ვოლქმენი, ბილეთის № 030293, ლატარია „გოლი 98"-ში — ლაშა პეტრიაშვილს (თბილისი) — 50 ლარი, ბილეთის №02484-023. გელა ცუცქირიძეს (ბორჯომი) — მაჯის საათი, ბილეთის №03893-120. ამასთან, გამარჯვებულებს გადაეცემათ აგრეთვე ლატარიების ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. ქ. შარტავას ქ. №40.

„გოლი 98"-ის და „ოლიმპ"-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზები გათამაშდება ყოველ კვირა დღეს!

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი



23 აპრილი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. იბერია. ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (21.00), *საქართველოს ხმა.* ფეხბურთი: მსოფლიო სტადიონებზე (19.45), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.55). *HTB პლუს ფუთბალ.* პოლანდიის ჩემპიონატი (19.15), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05). შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15, 20.50), გერმანიის ჩემპიონატი (22.55), ბრაზილიის ჩემპიონატი (0.55). *ESPN.* კალათბურთი. ნბა (12.30), *EUROSPORT.* მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 2.00). ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (21.00).

24 აპრილი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.35). *იბერია.* ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (21.00). *საქართველოს ხმა.* ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (18.25), 23.55 – ესპანეთის ჩემპიონატი. *HTB პლუს ფუთბალ.* ბრაზილიის ჩემპიონატი (14.00), გერმანიის ჩემპიონატი (16.25, 18.25), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (23.30), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55). *ESPN.* კალათბურთი. ნბა (3.30, 4.00, 12.00, 12.30). ფეხბურთი: (9.30, უეფას თასის ნახევარფინალები – 10.00), ინგლისის პრემიერ-ლიგა (18.00, 20.00). *EUROSPORT.* მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (9.15, 11.30, 12.45, 15.30, 16.15, 17.00, 2.00). ველოსპორტი. მსოფლიო თასი (17.30). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, ნიგერიიდან (23.00).

25 აპრილი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.30), *იბერია.* ბურთი და მოედანი (8.55). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (21.00), *საქართველოს ხმა.* ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი: „ლიდსი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (15.25), იტალიის ჩემპიონატი (20.55, 23.30). *HTB პლუს ფუთბალ.* ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (15.00), ინგლისის ჩემპიონატი: „ლიდსი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (15.25), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები": ეუსებიო (18.20), იტალიის ჩემპიონატი (20.55, 23.30). *HTB პლუს სპორტ.* ჩოგბურთი. დევისის თასი (14.50). კარატე. საერთაშორისო ტურნირი (21.00). *ESPN.* ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა (9.30), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.00, 14.30 – „მანჩესტერ იუნაიტედი" – „ლიდს იუნაიტედი"). ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (16.30). კალათბურთი. ნბა. (18.00). ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგა: „ჩელსი" – „შეფილდ უინსდეი", პირდაპირი ტრანსლაცია (19.00). *EUROSPORT.* მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (7.00, 11.00, 14.30, 20.00, 2.15). ფეხბურთი. იუნაიოთა მსოფლიო ჩემპიონატი, ესპანეთიდან (12.30). ცხენოსნობა. მსოფლიო პირველობა. კონკური ი (17.30, 18.00).

კრიკეტი

ჰოლიფილდ-ლუისი: სექტემბერში, ლას-ვეგასში

კრიკეტის საერთაშორისო ასოციაციამ (ვ.ბ.ა.) ოფიციალურად განაცხადა თანხმობა მსოფლიო ჩემპიონობაზე ევანდერ ჰოლიფილდისა (აშშ) და ლენოქს ლუისის (ინგლისი) განმეორებითი შეხვედრის შესახებ, რომელიც სექტემბერში ლას ვეგასში (აშშ) მოეწყობა.

ბევრი მიმომხილველი ეჭვს გამოთქვამს ამ განმეორებითი მატჩის სამართლიან შედეგზე. მათ კარგად ახსოვთ ჰოლიფილდისა და ლუისის 13 მარტის შეხვედრა ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენში", რაც ექსპერტების აზრით, ლუისის სრული უპირატესობის მიუხედავად, მსაჯებმა მაინც ფრე აღნიშნეს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი მოკრივის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღირსების ორდენის კავალერის ანდრო ნამასარდოვის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ცნობილ მოჭადრაკეს, დიდოსტატ გია გიორგაძეს მეუდლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თნაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს თეიმურაზ აფხაზავას დედის გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო პოზიცია

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კ:f6! 1. ...კd6 2. კe5X.
1. ...კe3 2. მh2X. 1. ...მe2 2. კb7X.
1. e5 2. კe7X. 1. ...ef 4. გ:f6X.



თარაზულად: 1. „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ფრანგი ფეხბურთელი, 3. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 5. გამოუვალი მდგომარეობა ჭადრაკში. 7. ოლიმპიური სტადიონი მეხიკოში. 10-12. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი 1960-69 წლებში. 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 19. ამერიკელი მოცურავე, ცხრა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი. 25. ლეგენდარული ქართველი მთამსვლელი. 26-27. იაპონელი ტანმოვარჯიშე, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი მრავალჭიდში. 30. „ლივერპულის" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი. 31-33 ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 34. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. 36-38. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი. 39. ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი. 41-42. მადრიდის „რეალის" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი. 45. იტალიელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1934 წლის ჩემპიონი. 46. ფრანგი ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული. 48. რუსი დიდოსტატი, 1963 და 1965-66 წლების სსრკ ჩემპიონი. 52-55 ფრანგი ველომრბოლი სპრინტერი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 56. იაპონელი ტანმოვარჯიშე, ეჭსგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 60. გერმანელი მოცურავე ქალი, მონრეალის ოლიმპიადის ოთხგზის ჩემპიონი. 61. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი. 62. ნიგერიელი ფეხბურთელი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი. 64. ეთიოპიელი სტაიერი, მოსკოვის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი.

შვეულად: 1. გამოჩენილი ქართველი მწვრთნელი ფეხბურთში. 2. ინდოელი დიდოსტატი. 3. 1968 წლის ევროპის ჩემპიონი ფეხბურთში. 4. რუსეთის საფეხბურთო კლუბი. 5. სპორტული ინვენტარი. 6. რუსი მოჭიდავე, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი. 8-28. „ჩელსის" იტალიელი ლეგიონერი. 9-29. ქართველი მოჭიდავე, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 16. ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი 80-90-იან წლებში. 17. „იუვენტუსის" და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 21. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი, 22. იტალიის საკალათბურთო კლუბი. 23. საჭადრაკო პარტიის დასკვნითი სტადია, 24. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1927-35 და 1937-46 წლებში. 42-50. „სამადრიასს" არგენტინელი ფეხბურთელი, 43. სსრ კავშირის 1978 და 1981 წ. საუკეთესო ფეხბურთელი. 44. სპორტული ნაგებობა. 45-51 ამერიკელი მძლეოსანი, ბერლინის ოლიმპიადის გმირი, 47. იაპონელი მოჭიდავე, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი მსუბუქ წონაში, 49. „ატლეტიკოს" იუგოსლაველი ნახევარმცველი, 53. წარსულში ცნობილი სომეხი სიგრძეზე მხტომელი. 54. ამერიკელი ბადროს მტყორცნელი, ზედიზედ ოთხი ოლიმპიადის ჩემპიონი. 57. არგენტინელი თავდამსხმელი, 1990 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. 58. მოსკოვის „სპარტაკის" ფორვარდი.

დიაგონალურად: 1-11. ფრანგი ნახევარმცველი, ევროპის 1984 წ. ჩემპიონი, ამჟამად მწვრთნელი, 14-6. „იუვენტუსის" პრეზიდენტი, 18-3. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 4-20. ქართველი მოფარიკავე, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 10-33. ქართული სპორტული გაზეთი, 34-15. ავსტრიის ნაკრების მეკარე 1970-85 წლებში, 18-32. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი 1945-54 წლებში. 35-20. სპორტული ინვენტარი, 47-37. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი. 40-49. ორთაბრძოლის სამწუთიანი პერიოდი კრივში, 52-38. თბილისის „დინამოს" მეკარე 1948-58 წლებში. 39-59. ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 47-62 ამერიკელი ჩოგბურთელი, 63-49. სომეხი ტანმოვარჯიშე, მელბურნისა და რომის ოლიმპიადების ჩემპიონი, 61-53. 50-70-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 58-65. 1963 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. და, 3. ბო, იოჰანსონი, 2. ეორდანესკუ, 4. ეაკე, 5. კარპეჭიანი, 6. ოლსენი, 7. მალდინი, 8. პროხაზკა, 9. ემე, 10. სემპსონი, 11. კასპერჩაკი (თარაზულად), 11. კლემენტე (შვეულად), 12. ლერუა, 13. ჰიდინკი, 14. ტალები, 15. ბერტი, 16. ლაპუენტე, 17. სიმოვში, 18. მიშელი, 19. აკოსტა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძ